პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით

წელიწადი მეორე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის კომიტეტის და სრულ. საქარ. მ., გ., წ.-არმ. და მატროსთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის ორგანო.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტერნის ქ. № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა კვირა უქმეებისა დილ. 10 ს.—2 ს.
ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 14—76 მდივნის № 19 საერ. №

ფასი 10,000 მან.
პროვინციებში 12,000 მან.

9 ოთხშაბათი, 26 აპრილი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი ოთხშაბათი, 26 აპრილი 1922 წ. № 91

ბიბლიოთეკა

მუშათა კლასის გაერთიანებული ფრონტი და ქართველი მენშევიკების ცენტრალური კომიტეტი

მკითხველებმა უკვე იციან, რომ აპრილის პირველ რიცხვებში ბერლინში მოხდა მეორე, ორნახევარი და მესამე (კომუნისტური) ინტერნაციონალების შეერთებული თათბირი. აქ ჩვენ ვერ გამოვუდგებით იმას, თუ როგორ და რა პირობებში გაიმართა ეს თათბირი. ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ როგორც მის მიწვევაში, ისე იქ მიხწეულ შედეგებში მთავარი როლი ეკუთვნის კომმუნისტურ ინტერნაციონალს. ჩვენ აქ ვერ შევჩერდებით ამ თათბირის მუშაობაზე; აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, თუ რა ნიადაგზე და რა ლოზუნგების ქვეშ მიხწეულ იქნა იქ ამ სამი ინტერნაციონალის შეთანხმება.

თათბირმა აღიარა, რომ თუმცა გენუას კონფერენციის დროს აღარ მოხერხდა მთელი მუშათა კლასის საერთაშორისო სოციალისტური კონფერენცია, მაგრამ სამაგიეროთ გენუას კონფერენციის დროს აუცილებლათ უნდა მოხდეს ყველა ქვეყნებში მუშების დემონსტრაცია 20 აპრილს თუ ეს ტეხნიკური პირობების გამო შეუძლებელი იქნება, ასეთი დემონსტრაცია უნდა მოხდეს 1 მაისს. დემონსტრაციები უნდა ჩატარდეს შემდეგი ლოზუნგების ქვეშ: 1) რვა საათის სამუშაო დღე; 2) ბრძოლა უმუშევრობასთან, რომელმაც კაპიტალისტურ სახელმწიფოების გამანადგურებელ პოლიტიკის მეოხებით გასაოცარი სახე მიიღო; 3) პროლეტარიატის სოლიდარული გამოსვლა კაპიტალის თავდასხმის წინააღმდეგ; 4) რუსეთის რევოლიუციის დაცვა; 5) ყველა სახელმწიფოების მხრით პოლიტიკურ და ეკონომიურ ურთიერთობათა აღდგენა საბჭოთა რუსეთთან; 6) მთლიანი პროლეტარული ფრონტის აღდგენა ყველა ქვეყნებში ნაციონალურ და საერთაშორისო ფარგლებში; და 7) დახმარება რუსეთის დამშეულებს.

თუმცა მეორე ინტერნაციონალის გმირები, როგორიც არიან ვანდერველდე, მაკდონალდი და კომპანია, ამ ლოზუნგების წინააღმდეგნი იყვნენ, მაგრამ ისინი იძულებული შეიქნენ ზევით ჩამოთვლილი ლოზუნგები მიეღოთ და ამ გვარათ შეთანხმებაზე ხელი მოეწერათ.

ამასთან ყველასათვის აშკარაა, რომ ამ შეთანხმებას და საერთოთ იმ დემონსტრაციას, რომელიც ზევით ჩამოთვლილ ლოზუნგების ქვეშ უნდა მოეწყოს, მხედველობაში აქვს განსაკუთრებით ბურჟუაზიული ქვეყნები, რომლებსაც სათავეში კაპიტალისტები და მემამულეები უდგანან. ერთი სიტყვით, ამ შეთანხმების მთელი აზრი და მნიშვნელობა იმაში გამოიხატება, რომ ბურჟუაზიულ ქვეყნებში მუშათა კლასი განურჩევლად პარტიისა ახდენს დემონსტრაციას ზევით დასახელებულ ლოზუნგების ქვეშ. რაც შეეხება რუსეთის მუშებს და გლეხებს, ისინი აღტაცებით შეუერთდებიან მუშების ამ საერთაშორისო დემონსტრაციას თავისი მოპოებული პოზიციის, პროლეტარიატის დიქტატურის და საბჭოთა ხელისუფლების განსამტკიცებლათ და გასამაგრებლათ.

ასეთია მოკლეთ ბერლინში მომხდარ სამი ინტერნაციონალის თათბირის აზრი და ამაზე მიხწეულ შეთანხმების მთელი მნიშვნელობა. როგორ გაიგეს ეს **ქართველ მენშევიკებმა** ანუ უკეთ რომ ვთქვათ იმათ **ცენტრალურმა კომიტეტმა?**

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ სიტყვა ამის შესახებ, ჩვენ უმჯობესათ ვთვლით მოვიყვანოთ აქ მენშევიკების ცეკას მიერ გამოცემული ფურცელი სიტყვა-სიტყვით, რომელსაც ეწოდება **„ლოზუნგები 20 აპრილისთვის“.** „საქართველოს სოც.-დემოკრ. მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი უერთდება ამ დადგენილებას (ე. ი. მუშების საერთაშორისო დემონსტრაციას ფ. მ.) და ლოზუნგებათ აცხადებს შემდეგ მოთხოვნილებებს:

1) რუსეთის ჯარის დაუყოვნებლივ გაყვანა საქართველოდან, 2) სოფლებიდან საეკზეკუციო დამსჯელი რაზმების გაყვანა. 3) 8 საათის სამუშაო დღის ნამდვილათ ცხოვრებაში გატარება ყველა დარგებში, 4) მუშების ხელფასის მომატება თანახმათ მინიმალურ მოთხოვნილების დაკმაყოფილებისა, 5) პოლიტიკურ ტუსაღების განთავისუფლება, 6) ყველა ერების უფლება (მათსშორის რუსეთის ხალხის) თვითონ მოაწყონ თავიანთი ბედი თავისუფლათ და ძალდაუტანებლათ“.

ჩვენ ვთხოვთ ყველა მუშას და ყველა გლეხს ცოტაოდენი გულდასმით შეადარონ ბერლინის თათბირზე მიღებული ლოზუნგები ქართველ მენშევიკების ცენტრ. კომიტეტის მიერ წამოყენებულ მოთხოვნებს, და მაშინ ყველანი გაიგებენ ქართველ მენშევიკების ჩვეულებრივ თვალთმაქცობას და თაღლითობას: ატყუილონ და შეცდომაში შეიყვანონ საქართველოს მშრომელთა მასსა. ქართველ მენშევიკების ცეკას „მოთხოვნები“ ანუ ლოზუნგები ესაა პუანკარეების, ლოიდ-ჯორჯების და მათი ლაქიების: ვანდერველდეების, შეიდემანელების და მაკდონალდების ლოზუნგები და მოთხოვნები. ესაა არა მუშათა კლასის მთლიანი ფრონტის ლოზუნგები, არამედ ლოზუნგები მუშათა კლასის გათიშვის, დაქსაქსვის, მისი მთლიანი ფრონტის მოშლის ლოზუნგები. წითელი ჯარის გაყვანა საქართველოდან ნიშნავს წითელი ჯარის მოსპობას, ე. ი. თვით საბჭოთა ხელისუფლების დაცემას, ეს კი ნიშნავს რუსეთის რევოლიუციის დამარცხებას. სწორედ ეს უნდათ იმპერიალიზმის მოციქულებს და ვექილებს ლოიდ-ჯორჯებს, პუანკარეებს, გარდინგებს და აი ამასვე თხოულობენ საქართველოში ანტანტის იმპერიალისტების ლაქიები-მენშევიკები. თუ ბერლინის თათბირზე იმპერიალისტების აგენტებმა: ვანდერველდემ, ფორმა, მაკდონალდმა და სხვებმა ვერ შესძლეს სამი ინტერნაციონალის შეთანხმების ჩაშლა ერთი მხრით და იმპერიალისტების ინტერესების დაცვა მეორე მხრით, სამაგიეროთ საქართველოში ამ სამარცხვინო როლის შესრულება ჩვეულებრივ იკისრეს მენშევიკებმა. რა თქმა უნდა, თუ ბერლინის თათბირზე ბურჟუაზიის აგენტებმა ვერ შესძლეს თავისი პოზიციის დაცვა, ჩვენში იმათი წადილი მათთვის კიდევ უფრო სამარცხვინოთ გათავდება. მაგრამ საჭიროა, რომ თითოეული მუშა და თითოეული გლეხი რაც შეიძლება კარგათ ჩაუკვირდეს მენშევიკების საქციელს, იმათ მოქმედებას. მაშინ როცა ბერლინში მიხწეული შეთანხმება ლაპარაკობს ბურჟუაზიულ ქვეყნებზე, როცა ის უპირდაპირებს ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს საბჭოთა რესპუბლიკებს და ყველა ქვეყნის მუშებს ავალებს რუსეთის რევოლიუციის და საბჭოთა ხელისუფლების დაცვას, ქართველ მენშევიკების ცენტრ. კომიტეტი ყოველივე ამას უკუღმა ატრიალებს და წინ გვიყენებს ბურჟუაზიულ სახელმწიფოების დაცვას და რუსეთის რევოლიუციის დაღუპვას.

აუცილებლათ საჭიროა, რომ საქართველოს მშრომელმა მასსამ მიაქციოს ყველა ამას ჯეროვანი ყურადღება და ერთხელ და სამუდამოთ გააკრას ეს ვაჟბატონები სამარცხვინო ბოძზე. **ძირს მუშათა კლასის ერთიანი ფრონტის გამთიშველები! გაუმარჯოს მუშათა კლასის მთლიან, გაერთიანებულ ფრონტს კაპიტალისტური ბურჟუაზიის წინააღმდეგ.**

ფ. მახარაძე.

პროლეტარული კულტურა

საქართველოს პროლეტკულტის საორგანიზაციო ბიუროს თაოსნობით და ხელმძღვანელობით ამ ჟამად ტარდება პროლეტკულტის სააგიტაციო კვირეული, რომლის მიზანია გააცნონ მუშებს პროლეტარულ კულტურის ამოცანები. დღევანდლამდე ჩვენ ნაკლებ ყურადღებას ვაქცევდით კულტურულ ფრონტს: მუშათა კლასის პოლიტიკურ ძალა-უფლების და ამ უკანასკნელის საფუძვლის—სოციალისტური ეკონომიკის შექმნა-განმტკიცება იყო და დღესაც არის ჩვენი მთავარი საზრუნავი საგანი გრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ჩვენ საერთოდ პროლეტარიატის კულტურულ განვითარებას მცირე ღირებულებას ვაკუთნებთ. პირიქით, მას საპატიო ადგილს უთმობთ და ამიერიდან მაინც, როცა შედარებითი მშვიდობიანობას მივაღწიეთ და სააღმშენებლო მუშაობაში ვართ უშუალოდ ჩაბმულნი, მუშათა კლასის ცხოვრების ამ მხარეს ფრიად სერიოზულად უნდა მოვეკიდოთ. და უნდა ითქვას, ჩვენი აღმშენებლობის შედეგი საბოლოო ანგარიშით იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად მოახერხებს პროლეტარიატი კულტურულად ამაღლებას. ეს საანბანო ჭეშმარიტებაა, სალაპარაკო და გამოსარკვევია მხოლოდ ის, თუ რა გზით უნდა წარიმართოს პროლეტარიატის კულტურული განვითარება. აქ დგება პრობლემა თავისებური პროლეტარულ კულტურისა. ბევრს საკითხის ასე დაყენება სადაოდ ეჩვენება. ფიქრობენ, რომ არსებობს საერთო უნივერსალური კულტურა და მუშათა კლასის მიზანიც, მათი აზრით, უნდა მდგომარეობდეს ამ კულტურის შეთვისებასა და უფრო განვითარებაში. მაგრამ ვინც დგას მარქსისტულ თვალსაზრისზე, მისთვის ცხადია, რომ კულტურა, იდეოლოგია არის „ზედნაშენი“ არსებულ ნივთიერ საწარმოო ურთიერთობათა და ამიტომ მას აქვს უაღრესად კლასობრივი ხასიათი. აქამდე არსებული საზოგადოებრივი ურთიერთობა ემყარება კერძო საკუთრებასა და კაპიტალისტურ წარმოებაზე, ამიტომ დღევანდელი კულტურაც გამომხატველია გაბატონებული კლასის, ბურჟუაზიის კაპიტალისტურ ინდივიდუალისტურ მსოფლიო მხედველობის და მოთხოვნილებათა. მუშათა კლასს არ შეუძლია, რა თქმა უნდა, ეს კულტურა მიიღოს. იგი არა მარტო ცვლის ძირიანად ბურჟუაზიული სამეურნეო ურთიერთობას და ამყარებს საერთო, კომუნისტურ წყობილებას, არამედ ამასთან ერთად, ქმნის თავის მსოფლიო მხედველობის კულტურას. დღევანდელს პირობებში მას აუცილებლად ექნება პროლეტარულ კლასობრივი ხასიათი, რამდენადაც კლასობრივი დაყოფა ჯერ კიდევ არსებობს საზოგადოებაში, და ეს კულტურა ბასრი იარაღი უნდა იყოს ბურჟუაზიული იდეოლოგიის და ურთიერთობის მოსასპობად. მაგრამ ატარებს რა დღეს დღეობით კლასობრივ ბრძოლის მომენტს, ეს კულტურა ამასთან ერთად თავისი სულით არსებითად განსხვავდება ბურჟუაზიულ კულტურისაგან და მატარებელია კოლექტივისტურ, უნივერსალურ შინაარსის, რომელიც დამთავრებულ სახეს მიიღებს მომავალ უკლასო, კომუნისტურ საზოგადოებაში.

ამით ჩვენ არ გვინდა ვთქვათ, რომ მუშათა კლასი თითქო სავსებით უარყოფდეს სხვა კლასების მიერ კულტურულ სფეროში დღევანდლამდე მიღწეულ დადებით შედეგებს. სრულებითაც არა ამ მინაღწევარს ის მხოლოდ თავისებურად გამოიყენებს, თავის საკუთარ სახეს მისცემს. მაგრამ მთავარი სულ სხვა არის. ყოველი კულტურის არსი არის განსაკუთრებული შეგრძნობა მთლიანად ცხოვრების, მისი სტილის. და განა ამ თვალსაზრისით დღევანდელი კაპიტალისტურ ცხოვრების პირობებშიც მკვეთრად არ სჩანს ელემენტები სოციალისტური კულტურის! მუშათა კლასის მიდგომა ცხოვრების და ისტორიის სხვა და სხვა მოვლენებისადმი, მათი შეფასება სულ სხვაგვარია, ვინემ მოწინააღმდეგ კლასის. ეს ითქმის როგორც ეკონომიურ პოლიტიკურ საკითხებზე, ისე კულტურულ ღირებულებათა შესახებაც. პროლეტარიატი ქმნის შრომას და ამხანაგური თანამშრომლობაზე დამყარებულ ახალ მორალს და ყოფა-ცხოვრებას, ქმნის ახალ ხელოვნებას, ფილოსოფიას და მეცნიერებასაც. მართალია, ამ ახალ გზების ტენდენცია ისე მკაფიოდ არ სჩანს „იდეოლოგიის“ სფეროში, როგორც პოლიტიკურ-ეკონომიურ დარგში. პროლეტარიატი ჯერ ისევ განიცდის ბურჟუაზიის იდეოლოგიურ გავლენას. ამას ადასტურებს განსაკუთრებით მსოფლიო ომი, როდესაც ბურჟუაზიამ პროლეტარიატს ამ უკანასკნელისათვის სრულიად უცხო და საწინააღმდეგო მიზნები მოახვია და თავისი ბატონობის განსამტკიცებლად იარაღი აალებინა ხელში. მით უფრო ენერგიულად უნდა მოვკიდოთ ხელი მუშათა კლასის კულტურულ განთავისუფლების და დამოუკიდებლობის მოპოების საქმეს. საბჭოთა ქვეყნებში, სადაც პროლეტარიატია გაბატონებული, ეს მიზანი უფრო ადვილად მისაღწევია. აქ სახელმწიფოს, პარტიას და სხვა მუშათა ორგანიზაციებს მართებთ შექმნან ხელსაყრელი პირობები და ატმოსფერა მუშათა მასსებისათვის კომუნისტური პსიქოლოგიის და მსოფლიო მხედველობის შთასანერგავად მათი კულტურულად გათვითცნობიერებისათვის. და მუშათა კლასი, შეიარაღებული პროლეტარული კულტურით, შემგნები თავის მიზნების და იდეალების, უფრო ნაყოფიერად და აქტიურად ჩაებმება აღმშენებლობაში; ასე მომზადებულ მშრომელ მასსებს ვერავინ გადაახვევინებს იმ ჭეშმარიტ გზიდან, რომელსაც ის მიყავს თავისი და მთელი კაცობრიობის განთავისუფლებისაკენ.

ვ. ქ.

რუსეთის ემიგრაცია და გენუის კონფერენცია

პომეშჩიკებისა და გენერლების ჯგუფები.

კბილთა ღრჭენით შეჰხვდნენ ეს ჯგუფები თვით ერთ იდეასაც ბოლშევიკების მიწვევის შესახებ ევროპის სამშვიდობო კონფერენციაზე. მონარქიული წრეების ბელადები შეეცადნენ შეერთებიათ ვრანგელელების „რუსული საბჭო“ და პარიზის „ნაციონალური კომიტეტი“. შეთანხმების ჩამოსაგდებათ პარიზიდან ბელგრადში გაემგზავრნენ „ნაციონალური კომიტეტის“ წევრები: კარტაშევი, კავალევსკი, გენერალი დანილოვი, ადმირალი კედროვი (რომელიც უწოდებს თავის თავს „რუსეთის სამხედრო წარმომადგენელს“ პარიზში), გენერალი მიულლერი და სხ. ბერლინიდან წავიდნენ: „კონსტანტინოპოლის ნავთსადგურში მყოფი რუსების უფროსი“ გენერალი ერმაკოვი, სოფიიდან—თავადი პ. დოლგორუკოვი და სხ. ამ მოფრენილ შავ ყორნებს მიემატა კიდევ ვ. ბურცევი, რომელიც სპეციალურათ გაემგზავრა პარიზიდან ბელგრადში „სამხრეთ რუსეთის უმაღლეს მმართველთან“. მთელი ეს ხმაურობა ატეხილი იყო გარკვეული მიზნით, რათა მიღწეული ყოფილიყო მემარჯვენე ჯგუფების ბლოკი გენუის კონფერენციაზე შეთანხმებულათ გამოსვლისათვის, მაგრამ რაღაც მიზეზის გამო „ნაციონალური კომიტეტისა“ და „რუსული საბჭოს“ შეთანხმება მაინც არ მოხერხდა. „როგორც საქმესთან გაცნობილი პირები ამბობენ—მწუხარებით სწერს მილიუკოვის გაზეთი „პოსლედნიე ნოვოსტი“—შეთანხმების ცდა ჩაიშალა „რუსული საბჭოს“ მიზეზით. „რუსულმა საბჭომ“ მოისურვა უკიდურესი მემარჯვენეების აზრი გაეყვანა შეთანხმების პირობებში“, რაზედაც მონარქიული ჯგუფების ზომიერი ელემენტები არ დასთანხმდნენ.

ამნაირათ კავშირი არ შესდგა. პარიზელების წინადადებას, რომ „რუსული საბჭო“ გამხდარიყო გაერთიანებული „საზოგადოებრიობის“ ცენტრათ, მტრულათ შეხვდნენ სერბიაში მყოფი ჯგუფები, რომლებსაც არ უნდოდათ უარი ეთქვათ დამოუკიდებლათ გამოსვლებზე. ბელგრადის კრებამ გამოააშკარავა, რომ მონარქისტულ ემიგრაციაში არის სერიოზული განხეთქილება, მაშინ, როდესაც ვრანგელი თავისი ამალით ომის გუნებაზე არის მოსული გაზაფხულის დადგომის გამო და ლაპარაკობს თვით მეფის ამორჩევის შესახებაც კი, ამ დროს პარიზის მონარქისტული წრეები, რომლებიც კადეტებზე კიდევ უფრო მარჯვნივ დგანან, მომხრე არიან უფრო ზომიერი ტაქტიკის, რადგან, ეშინიათ არ ჩამოიშორონ არჩია და უმთავრესათ კი კაზაკები.

ბელგრადის მონარქისტული წრეების ოფიციალური აზრი გამოსთქვა პრესაში გენერალ ვრანგელმა, რომელმაც გაზ. „ენფორმასიონ“-ის კორესპონდენტთან საუბარის დროს სთქვა შემდეგი: „მე უნდა გითხრათ, რომ გენუის კონფერენციიდან არაფერს არ გამოველი (არაფერ კარგს ჩემთვის, შეეძლო ეთქვა გენერალს. ავტ.) მე მწამს საღი აზრი ევროპის სახელმწიფოების მოღვაწეების. კომერციული შეთანხმებისთვის ორი პირობაა საჭირო: პირველი—რომ ორივე მხარე სრულიათ ენდობოდეს ერთმანეთს აღებულ ვალდებულებათ განხორციელების საქმეში. და მე გეკითხებით, რანაირათ შეიძლება მოსკოვის მთავრობის ნდობა? მეორე—საჭიროა მოლაპარაკება ისეთ პირებთან, რომლებიც სრულუფლებებით არიან აღჭურვილნი. ხოლო შეუძლია კი მოსკოვის მთავრობას რუსეთის სახელით ლაპარაკი? ამ მთავრობას კიდევ შეუძლია დარჩეს ერთი ხანი, მაგრამ დაბოლოს მის ადგილს აუცილებლათ სხვა დაიჭერს. ხოლო შეასრულებს მისი მემკვიდრე იმ ხელშეკრულებას, რომელიც დასდო ბოლშევიკებმა? მე თქვენთვის მიმინდვია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა.—მე მომდის, სთქვა გენერალმა—ურიცხვი პროტესტები საბჭოების მიწვევის წინააღმდეგ გენუაში. მაგრამ ეს კითხვა ჩემის აზრით მეორე ხარისხოვანია. ანტიბოლშევიკური რუსეთის სულისკვეთებას იცნობს მთელი მსოფლიო“ და სხვ..

ვაჭარ მრეწველთა წრეები.

ბერლინში მემარჯვენე კადეტები (გაზ. „რულიდან“) აშკარად შეუერთდენ შავრაზმელებს მოკავშირეთა სახელზე გასაგზან მემორანდუმის შედგენის დროს. საერთოთ უნდა ითქვას, რომ ფინანსიურ-სავაჭრო სამრეწველო კავშირში, ბერლინში, აშკარა მონარქისტები, როგორც ტრასტერევი (მარკოვ მეორეს მოკავშირე) და შლიპპე არიან ტონის მიმცემი. ეს ვაჟბატონები იმუშავებდნენ კამინკასთან (კადეტია) ერთათ მემორანდუმს ბოლშევიკების მიწვევის შესახებ გენუაში. ისინი შეთანხმდნენ იმაში, რომ „სავაჭრო ურთიერთობის აღდგენა რუსეთთან არ არის სასურველი“. რუსი ფაბრიკანტების კავშირი ბერლინში ეწეოდა ხანგრძლივ მუშაობას კულისებში, რათა დაერწმუნებია გერმანიის სავაჭრო სამრეწველო წრეები თავისი შეხედულების სიმართლეში. ეს ცდა დათავდა სამარცხვინოთ კავშირისათვის, ვინაიდან გერმანელებმა უარი სთქვეს ბოიკოტი გამოეცხადებიათ რუსეთისათვის და თვით კავშირიც იძულებული იყო დაბოლოს გამოეცხადებია, რომ „უცხოელები მიდიან რუსეთში იქიდან მოგების მისაღებათ“ და ამით თითქოს აიხსნება ის, რომ „ისინი ანგარიშს არ უწევენ ბოლშევიკური ხელისუფლების მალე დაღუპვას“. ასეა თუ ისე რუსი მრეწველების გამოსვლას არ დაუჭირეს მხარი გერმანიის სერიოზულმა საქმიანმა წრეებმა. მაგიერათ მათ ცდას სიამოვნებით შეხვდა „სამოქალაქო დელეგაცია“, რომელიც ითვლება ვრანგელის ოფიციალურ წარმომადგენლობათ ბერლინში. მაგრამ ამ გარემოებას არავინ ყურადღებას არ აქცევს.

დამახასიათებელია აგრეთვე იმის აღნიშვნაც, რომ, როგორც ბერლინელი ისე პარიზელი წრეებიც ამ კავშირის, სცდილობდნენ გავლენა მოეხდინათ მოკავშირეებზე, რათა მანდატი მიეღოთ გენუას კონფერენციაზე დასასწრებლათ. ეს ცდაც, რასაკვირველია, მარცხით დათავდა. ამის შემდეგ მილიუკოვის გაზეთი სერიოზულათ ირწმუნებოდა, რომ ანტიბოლშევიკურ ჯგუფებს არაფერი საქმე არა აქვთ კონფერენციაზე და არც საჭიროა მათი გამგზავრება გენუაში „დანგრეული რუსეთის“ წარმომადგენლებათო.

ამნაირათ „ბოიკოტის“ ქვეშ დარჩნენ თვითონ ვაჭარ-მრეწველთა წრეები ემიგრაციის, რომლებსაც ერთი ღა დარჩენოდათ: გული მოეფხანათ უძლური მუქარებით „რუსეთის სავაჭრო სამრეწველო და ფინანსიური დაწესებულებათა მესაკუთრენი, იმუქრებიან ისინი თავის დეკლარაციაში—არასოდეს არ იცნობენ იმ შეთანხმებას, რომელიც მიღწეული იქნება ბოლშევიკებთან“-ო.

ბურცევი და სავინკოვი.

რიაბუშინსკისთან ერთად მათ სურთ მუშურ-გლეხური ხელისუფლების დაღუპვა სიმშილის გავლენით და დახმარებით და მასთან ერთათ ბრაზი მოსდით თვით ერთი ფიქრითაც ამის შესახებ, რომ მიღწეული იქნება უცხოეთის კაპიტალის შეთანხმება რუსეთთან, ეკონომიური კავშირის აღსადგენათ. კონფერენციის მოწვევას ისინი უყურებენ, როგორც „ჩვენი მოკავშირეების უკანასკნელ უდიდეს ისტორიულ შეცდომას„ („Общее дело“). ხოლო სავინკოვი კიდევ უფრო შორს მიდის და მოკავშირეებს წინადადებას აძლევს შეერთდნენ რუსეთის დასაღრჩობათ. დეე, დაიღუპოს რუსეთის ინტერესები, მაგიერათ ბოლშევიკებს ხომ ჩამოვაგდებთ! არა მარტო მოკავშირეებმა, თვით მცირე ანტანტამაც ერთი ყური მაინც უნდა მიიღოს რუსეთის მოკლული დათვისაგან. მცირე ანტანტის კავშირს სავინკოვი სთვლის „დადებით ფაქტათ“.

ერდე.

(დასასრული იქნება)

წითელი პრესა

„აღორძინება და ლპობა“.

გაზ. „მუშათა მოსკოვი“, ორგანო რ. კ. პ. მოსკოვის კომიტეტისა და საბჭოსი, ადარებს ერთმანეთს ორ სიტყვას. ერთს წარმოთქმულს ლენინის მიერ პარტიულ ყრილობაზე, მეორეს—წარმოთქმულ გენუას კონფერენციაზე ლოიდ ჯორჯის მიერ. ლენინმა გაატარა ის აზრი, რომ დღეს საბჭოთა რუსეთი უფრო მტკიცეთ სდგას, ვინემ ერთი წლის წინეთ. თუმცა ბურჟუაზია კიდევ შეეცდება ინტერვენციას, მაგრამ უშედეგოთ, რადგან ამის გატარება მისთვის დღეს უფრო ძნელია, ვინემ გუშინ. ლოიდ ჯორჯი შეეხო ევროპის მდგომარეობას და შავი ფერადებით დახატა ის: დასავლეთში უმუშევრობა, აღმოსავლეთში სიმშილი, შავი ჭირი, აღარ არის არსად ნორმალური პირობები წარმოების, მთელ მსოფლიოს მოელის საშინელება და განადგურება.

„ეს სიტყვები კაპიტალის უდიდესი წარმომადგენლის მოწმობს იმაზე, რომ ბურჟუაზიული ევროპა ვერ გაართმევს თავს მეურნეობის აღდგენის საქმეს, მიუხედავათ ყოველი მისი ცდისა, დაწყებული გერმანიის მოგუდვიდან და გათავებული საბჭოთა რუსეთის დახრჩობის ცდით. ორი გამოსვლა, ორი ერთი მეორის მოწინააღმდეგე მსოფლიოს ორი უდიდესი წარმომადგენლების—ლენინის და ლოიდ ჯორჯის მთელ ქვეყნიერებას ეუბნება იმას, რომ საბჭოთა რუსეთი, ოქტომბრის რევოლიუციის, მუშათა და გლეხთა ძალაუფლების გამო, გამოდის ჩიხიდან და მისდევს გზას სრული აღორძინებისაკენ, მაშინ, როდესაც კაპიტალისტური ევროპა, ბურჟუაზიული კონტრრევოლიუციის და ბურჟუაზიული და პომეშჩიკური ძალა-უფლების გამო სულ უფრო და უფრო ეშვება ამ ჩიხში, დამდგარი სრული დაშლის, დალპობის და დაქსაქსვის გზაზე. წინააღმდეგ გენუას კონფერენციის ორგანიზატორების ნებასურვილისა ამ ჭეშმარიტებას შეიგნებენ გენუას კონფერენციის დახმარებით მრავალრიცხოვანი დამონებული და დაბეჩავებული მასსები კაპიტალისტური ქვეყნების“.

მიუხედავათ იმ დაბრკოლებათა, რომლებსაც უყენებენ ბურჟუაზიული ინფორმაციის ორგანოები საბჭოთა დელეგაციას, მთელი მსოფლიო პროლეტარიატის ინტერესების გამომხატველს გენუაში, მათი სიტყვა, თუ გინდ შეკვეცილი, მოედება ძველი და ახალი ქვეყნის მშრომელთა მილიონებს. ამ მხრით გენუა შეასრულებს ერთნაირ მისიას, რომელსაც მას სრულიადაც არ უყენებდნენ მისი ორგანიზატორები.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

ეკლესიის განძეულობა დამშეულთ.

მოსკოვი, 23 აპრილი (რადიო). ლოზუნგი: ეკლესიებში შეკრებილ თვითეული ფუთი ვერცხლით შეიძლება შევიყიდოთ დამშეულთათვის ათასი ფუთი პური. ათასი ფუთი პურს შეუძლია იხსნას შიმშილობით სიკვდილისაგან ვოლგის მხრის გლეხობა.

— მოსკოვში გრძელდება საეკლესიო ქონების ჩამორთმევა. 20 აპრილს ქალაქის რაიონში მორწმუნეთა დახმარებით შეკრებილ იქნა 20 ფუთი ვერცხლი, ოქრო, ძვირფასი თვლები და სხვა. ჩამორთმევას დაესწრო ეპისკოპოზი ანტონი და ამერიკელი და ევროპიელი ჟურნალისტები. სოკოლნიკის რაიონში 20 აპრილისათვის ჩამორთმეულ იქნა 19 ფუთზე მეტი ვერცხლი.

— ტამბოვის გუბერნიის სპასკის მაზრის რაიონის სოფლებში გლეხობა თავის ნებით იძლევა ეკლესიის განძეულობას.

— რიაზანის არქიეპისკოპოზი ბენიამინი თავის, მესამე მოწოდებაში მოუწოდებს მორწმუნეთ შესწირონ დამშეულებს საეკლესიო განძეულობა.

— სმოლენსკიდან იუწყებიან: რადგანაც სინაგოგებში ქონების ჩამორთმევის დროს მცირე განძეულობა აღმოჩნდა, ამიტომ მორწმუნე ებრაელთა შორის სწარმოებს შემოწირულებათა მოგროვება. შეკრებილ იქნა დაახლოვებით 22 გირვანქა ოქროული. სმოლენსკის მაზრის გლეხობა მოითხოვს საეკლესიო ქონების ჩამორთმევის დაჩქარებას.

— ბრიანსკის მაზრის სვირსკის მონასტერში ჩამორთმეულ იქნა 15 ფუთზე მეტი ვერცხლი, 500-მდე მარგალიტი და 300-მდე სხვა ძვირფასი თვალი. ჩამორთმევას მორწმუნენი სრული თანაგრძნობით შეხვდნენ.

— ჩებოკსარაში, მორწმუნეთა სრული თანაგრძნობითა და დახმარებით, 13 ეკლესიაში ჩამორთმეულ იქნა 18 ფუთ ვერცხლზე მეტი.

— რიაზანის ეკლესიებში ჩამორთმეულ იქნა 26 ფუთამდე ვერცხლი. ჩამორთმევა გრძელდება.

— უმაღლეს რევოლიუციონურ ტრიბუნალის სესია შეუდგა ქალაქ შუიაში, საეკლესიო ქონების ჩამორთმევის დროს მომხდარ ამბების გარჩევას. მცხოვრებლები ძლიერ დაინტერესებულნი არიან ამ პროცესით. ბრალდებულთა ადგილზე 22 კაცი ზის, მათ შორის 4 ღვდელი, ეკლესიის ქონებათა გამგე, რამოდენიმე ყოფილი ფაბრიკანტი, მედუქნე და ერთი სოციალისტ რევოლიუციონერი.

რუსეთი და პოლონეთი

მოსკოვი. 24 აპრილი (რადიო). გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრმა გოლეცკიმ მიმართა პოლონეთის წარმომადგენელს სტეფენსკის ნოტით, რომელშიც აცნობებს მას, რომ გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატს მრავალი ცნობები აქვს იმის შესახებ, რომ პოლონეთის ტერიტორიაზე ემზადება მრავალი შეიარაღებულ ბანდა, რომელსაც განზრახვა აქვს როგორც რუსეთის ისე მეზობელ რესპუბლიკების წინააღმდეგ, მტრული მოქმედება დაიწყოს. ნოტა წინადადებას აძლევს პოლონეთის მთავრობას დაუყონებლივ შექმნას შერეული კომისია საბჭოთა რუსეთის იმ პრეტენზიების განსახილველათ, რომელიც შეეხება მიყენებულ ზარალის ანაზღაურებას, ბანდიტების თავდასხმის და საბოლოოთ ანგარიშის გასწორებას. ნოტაში აღნიშნულია აგრეთვე პოლონეთის რესპუბლიკის მიერ რიგის ხელშეკრულების დარღვევა.

რუსეთი და ფინლიანდია.

მოსკოვი. 24 აპრილი (რადიო) პეტროგრადის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალმა ამხ. რიტისმა ბრძანება გასცა მეტი სიფხიზლე გამოიჩინონ და გააძლიერონ თვალ-ყურის დევნება ფინლიანდიის საზღვრებზე და პირდაპირ გადაჭრით მოსპონ უცხოელ ბანდების, ყოველგვარი ცდა შემოიჭრან პეტროგრადის სამხედრო ოლქის ტერიტორიაზე.

ამხ. ბუდენნის გამგზავრება.

მოსკოვი. 24 აპრილი. (რადიო). გომელიდან 21 აპრილის თარიღით იტყობინებიან: გომელში ჩამოვიდა ამხ ბუდენნი, რომელსაც ზეიმით შეეგება დივიზია და ქალაქის მცხოვრებლები. რუსეთის დეპეშათა სააგენტოს წარმომადგენელთან ბაასში ამხ. ბუდენნიმ განაცხადა კმაყოფილებით ის საოანადო ყურადღება, რომელსაც დივიზიას აქცევს მისი შეფი გომელის გუბერნიის აღმასკომი. ამხ. ბუდენნი გაემგზავრა ჯარის ნაწილების დასათვალიერებლად.

კაპიტალიზმის სამეფოებში

მდგომარეობა გერმანიაში.

ბერლინი 23 აპრილი (რადიო). გერმანიის ვაჭრობის მინისტრმა შმიდტმა გენუას კონფერენციის ეკონომიურ კომისიის სხდომაზე განაცხადა რომ გერმანიაში მოსალოდნელია ხელახლავ ფასების აწევა. ეს გარემოება ძლიან სახიფათო იქნება გერმანიის მთავრობის ავტორიტეტისათვის.

რურის ოკუპაცია.

ნაუენი 23 აპრილი (რადიო). პარიზის ბირჟაზე ხმები გავრცელდა, რომ საფრანგეთის მთავრობამ ბრძანება გასცა დაიწყონ რურის ოკუპაცია.

სომეხ სტუდენტების დაპატიმრება.

ბერლინი 23 აპრილი (რადიო). ლეიპციგში დააპატიმრეს ორი სომეხი სტუდენტი, რომელთაც ბრალს სდებენ ბერლინში ახალგაზრდა-ოსმალთა მკვლელობაში.

მუშათა დემონსტრაცია.

ნაუენი 23 აპრილი (რადიო). ბერლინში და ვენაში გაიმართა მუშათა გრანდიოზული დემონსტრაციები. დემონსტრაციები ჩატარდა უინციდენტოთ. მუშები მოითხოვდნენ პროლეტარიატის საერთაშორისო გაერთიანებას და 8 საათის სამუშაო დღეს.

აუცილებელი პერტრუბაციები.

ბორდო 23 აპრილი (რადიო). გერმანიის გარეშე საქმეთა მინისტრის რატენაუს ამხანაგმა დეიგმა გაზეთ „ეკსელსიორის“ კორესპონდენტთან ბაასის დროს რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობის აღდგენის საკითხის შესახებ განაცხადა, რომ ისეთ მდიდარ ქვეყნებს, როგორიც არის ამერიკა, ინგლისი და არგენტინა მოელით აუცილებელი პერტრუბაციები იმ მომენტიდან, როგორც კი რუსეთი გამოჩნდება საერთაშორისო ბაზარზე.

გენუის კონფერენცია

რუსეთის პირობები

სანტა-მარგარიტა, 22 აპრილი. (რუსეთის დელეგაციის პრეს ბიუროს რადიო). ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ ანტანტისა და რუსეთს შორის, ორივე მხარემ ჩამოაყალიბა თავისი მოთხოვნილებანი და აგრეთვე აღნიშნეს საზღვარი იმ დათმობათა, რომლის საფუძვლებზეც შესაძლებელი იქნება საქმიანი შეთანხმება.

ჩიჩერინმა გაუგზავნა წერილი ლოიდ ჯორჯს, რომელშიც აცნობა, რომ რუსეთის მოთხოვნილებანი შემდეგია: რუსეთის დაუყონებლივი ცნობა, დაუყონებლივ მიცემა მნიშვნელოვანი სესხისა, გაუქმება ომის დროინდელ ვალებისა და აგრეთვე მათი პროცენტებისა; თუ ეს პირობები მიღებული იქნება, რუსეთი თანახმაა იცნოს ომამდე არსებული ვალები. მაგრამ რუსეთი მოითხოვს გადახდის გადადებას მორატორიუმის სახით დაახლოვებით 20 წლამდის და აგრეთვე ომამდის არსებულ ვალების პროცენტების ჩამოწერას. რაიცა შეეხება ყოფილ მესაკუთრეთა პრეტენზიებს, რუსეთი, იმ შემთხვევაში თუ მიღებული იქნება ზემომოყვანილი მოთხოვნილებანი, დათანხმდება მისცეს კონცესიები ყოფილ მესაკუთრეთ სადაც ეს შესაძლებელი იქნება. ხოლო ისეთ შემთხვევებში, სადაც ასეთი კონცესიების გაცემა შეუძლებელი იქნება, საბჭოთა მთავრობა თანახმა იქნება დააკმაყოფილოს მათი კანონიერი მოთხოვნილება ან ყოფილ მესაკუთრესთან უშუალო ურთიერთი შეთანხმებით ან და იმ გვარად, როგორათაც ეს შემუშავდება კონფერენციის მხვლელობაში.

ჩიჩერინის წერილის მიღების შემდეგ, ლოიდ ჯორჯმა მოიწვია პოლიტიკური კომისიის ქვეკომისიის სხდომა გერმანელების წარმომადგენლების გარეშე. თავმჯდომარე შანცერმა განაცხადა, რომ საბჭოთა დელეგაციის წერილის მიხედვით ცნობილ იქნა შესაძლებლად შემდეგი მოლაპარაკების განგრძობა ექსპერტების კომისიაში და ამის გამო მისცა დამსწრეთ წინადადება დაასახელონ ასეთები. ბარტუს სურდა წარმოეთქვა სიტყვა იმ შეუფერებლობის შესახებ, რომელიც არსებობს საბჭოთა რუსეთის წარსულსა და აღიარებულ პრინციპებს შორის. ჩიჩერინმა პროტესტი განაცხადა და ბარტუს წინააღმდეგ, რომელსაც სურს ჩრდილი მიაყენოს საბჭოთა დელეგაციის მოქმედებას. ამით კამათი დამთავრდა. გამოქვეყნდა სია ექსპერტების კომისიის შედგენისა. მასში შევლენ ექსპერტები ანტანტის სახელმწიფოთა, პოლონეთის, მცირე ანტანტის, ჩეხოსლოვაკიის და ნეიტრალურ სახელმწიფოთაგან—გოლანდიის. რუსეთს ეყოლება 4 წევრი—კრასინი, ლიტვინოვი, რაკოვსკი და რუდზუტაკი. დღეს მოხდება ექსპერტების პირველი სხდომა

რუსეთის მემორანდუმი

ნაუენი, 23 აპრილი (გერმანული რადიო). დაარსებულ იქნა 7 კაცისაგან შემდგარი კომისია რუსეთის მემორანდუმის მოსასმენად. გოლანდიასა და მცირე ანტანტის სახელმწიფოთ ამ კომისიაში დაუთმეს თითო თითო ადგილი. კომისიის თავმჯდომარეთ არჩეულია შანცერი. კომისიას დავალებული აქვს გამოარკვიოს ზოგიერთი მუხლები რუსეთთან მოლაპარაკებაში. გერმანიას ეცნობა არ გამოგზავნოს თავისი წარმომადგენლები ამ კომისიის სხდომებზე. იტალიის დელეგაციის აზრით რუსეთის მიერ ომამდე არსებული ვალების ცნობით მრავალი დაბრკოლება იქნა გადალახული.

ბერლინი, 24 აპრილი (გერმანული რადიო) გაიმართა ექსპერტების კრება რუსეთის მემორანდუმის ტექსტის განსახილველად.

თარგმანი არ არის სწორი.

ბერლინი, 24 აპრილი (გერმანული რადიო). ჩიჩერინმა განუცხადა ლოიდ ჯორჯს, რომ მემორანდუმის ტექსტი სწორედ ვერ არის თარგმნილი. ჩადენილია შემდეგნაირი შეცდომა: თარგმანის ტექსტში ნათქვამია: „რუსეთი პირობათ მოითხოვს ომის დროინდელ ვალების შემცირების მოთხოვნილების მიღებას“, ნამდვილად კი ორიგინალში სწერია შემდეგი: „რუსეთი პირობათ მოითხოვს მოკავშირეთა მოთხოვნილებათა მიღებისათვის ომის დროინდელ ვალების გაუქმებას“. ექსპერტების კომისიამ შეადარა რუსული და თარგმანის ტექსტი და გამოარკვია, რომ რუსულ ტექსტშიდაც ნათქვამია: „შემცირება“ და არა „გაუქმება“.

საპირბოროტო ხასიათი.

ბორდო. 24 აპრ. (რადიო) (ფრანგული რადიო). დელეგატების სხდომაზე, შვეციისა და შვეიცარიის დელეგატების თანადასწრებით, შანცერმა განაცხადა, რომ რუსეთის მემორანდუმმა დაკარგა თავისი საპირბოროტო ხასიათი, და ამიტომ რუსეთის დელეგაცია არ უნდა სცდილობდეს მის გავრცელებას. გადაწყვეტილ იქნა 16 საათისათვის მოეწვიათ ექსპერტების სხდომა რუსეთის საქმეების გასარჩევად. იაპონიის წარმომადგენელმა ბარონ იუნცმა, სხდომის დამთავრებისას დელეგატების ყურადღება მიაქცია რუსეთის დელეგაციის მეთაურის ჩიჩერინის მოქმედებას, რომელმაც შემოიტანა ტექსტი მემორანდუმისა ყველა მთავრობათაგან მიღებული, ხოლო რომელმაც შემდეგ მოითხოვა მისი უკანვე წაღება.

საფრანგეთისათვის მიუღებელია.

ნაუენი, 24 აპრილი (გერმანული რადიო). საფრანგეთის დელეგაციამ განაცხადა, რომ რუსეთის პასუხი, ისე როგორც გერმანიის ნოტა, მოკავშირეთა მოთხოვნილებებზე საფრანგეთისათვის მიუღებელია. სიტყვიერი ცნობა ომამდის არსებული ვალებისა პროცენტების გადახდის გარეშე, არსებითად მხოლოდ უბრალო ფარსია, რადგანაც რუსეთი ამის სამაგიეროდ თხოულობს ახალი სესხის მიცემას, რომლის პროცენტების გადახდასაც ვალად იღებს 50 წლის შემდეგ 15 წლის მორატორიუმის შემდგომ. ამგვარსავე მოსაზრებას აყენებს ამერიკელი ცნობილი ფინანსისტი ვანდერლინი, რომელსაც აკვირვებს „რუსების დაუკვირვებლობა“, რომელნიც მალულობიას თამაშობენ და ეხუმრებიან ძალიან სერიოზულად დაინტერესებულ სახელმწიფოთ.

ინციდენტი.

ბერლინი, 24 აპრილი (გერმანული რადიო). რუსეთის დელეგაცია, მიუხედავად წინასწარი განცხადებისა, რუსეთის დელეგაციის მემორანდუმის ტექსტის განხილვის საბაბით, რომელშიაც ლაპარაკია ვერსალის ხელშეკრულებაზე და კანის დადგენილებებზე, მაინც მოვიდა რუსეთის საქმეების გამხილველ კომისიის სხდომაზე. სეიდუ და საფრანგეთის დელეგატებმა დასტოვეს სხდომის დარბაზი. მათ გაყვნენ ექსპერტები. შემდეგ წავიდნენ იაპონიის დელეგატები. თავმჯდომარე ფინესი იძულებული შეიქნა დაეხურა სხდომა.

ბორდო, 24 აპრ. (საფრანგეთის რადიო). რუსეთის დელეგაცია აგიტაციის მიზნით არიგებს გენუის ქუჩებზე თავისი მემორანდუმის ტექსტს.

პარიზი, 24 აპრ. (საფრანგეთის რადიო) გაზეთ „ეხო და პარი“-ს ცნობით ის მიზეზი, რომელმაც აიძულა ბარტუ წინადადება მიეცა სეილსათვის და ექსპერტებისათვის დაეტოვებიათ სხდომის დარბაზი, მდგომარეობდა იმაში, რომ ექსპერტების მაგიდაზე აღმოჩენილ იქმნა ერთი ეგზემპლიარი რუსეთის მემორანდუმისა, რომელშიც აღნიშნულია შეუფერებლობა ლონდონის ექსპერტების მოხსენებისა კანის დადგენილებებთან. რუსეთის მემორანდუმი კატეგორიულად აღნიშნავს ლონდონის ექსპერტების მოხსენების მიუღებლობას. დასასრულ ამ მემორანდუმში რევოლიუციონურ მოწოდებას აქვს ადგილი. ეს დოკუმენტი დადებულ იქნა მაგიდაზე, მაშინ როდესაც დელეგატები ჯერ კიდევ არ იყვნენ შეკრებილნი.

პირველ ყოვლისა რუსეთის ცნობა.

ნაუენი, 24 აპრ. (გერმანული რადიო). კანცლერ ვირტმა იტალიის გერმანელ ელჩის მიღების დროს განაცხადა, რომ თუ დიდ სახელმწიფოებს მართლაც სურთ ევროპის აღდგენა, მაშინ პირველ ყოვლისა აღდგენილ უნდა იქნეს რუსეთი და გერმანია.

ბორდო. 24 აპრ. (ფრანგული რადიო). ზოგიერთმა პირებმა და რუსულ ჯგუფებმა მიმართეს პროტესტით კონფერენციის მდივანს, რომელშიც ისინი პროტესტს აცხადებენ საბჭოთა მთავრობის რუსეთის წარმომადგენლად ცნობის წინააღმდეგ. ისინი აცხადებენ თავიანთ პროტესტში, რომ „არც ერთი კანონიერი ნამდვილი რუსული მთავრობა არ იცნობს იმ ხელშეკრულებას, რომელსაც აქ სდებენ დროებით, ხელისუფლების სათავეში ჩამდგარნი.

დროა ამოირჩიონ.

ნაუენი. 24 აპრ. (გერმანული რადიო). საფრანგეთის პოლიტიკას გენუაში უცქერიან, როგორც ახალ ცდას კონფერენციის ჩაშლისას. ფიქრობენ, რომ ბოლოს და ბოლოს ამ ჟამად შექმნილია ისეთი მდგომარეობა, როდესაც საფრანგეთმა უნდა ამოირჩიოს ან ძალადობის პოლიტიკის წარმოება, ან და იმ პოლიტიკის წარმოება რომელიც ცნობილია თვით გენუას კონფერენციის მიერ.

რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულების გარშემო.

გერმანია და ანტანტა.

ბერლინი. 24 აპრ. (გერმანული რადიო) კანცლერი ვირტი შემდეგნაირად ახასიათებს მოკავშირეთა პოლიტიკას გერმანიას მიმართ: გამართლდა ის შიში, რომელსაც ჩვენ ვფიქრობდით, რომ ლონდონის მემორანდუმს მიზნათ ექნება დასახული გერმანიის რკალივით შემორტყმა, მისი ეკონომიურად გამოფიტულ მდგომარეობაში ჩაყენება ახალი ვერსალის ხელშეკრულების შექმნით. ასეთ პირობებში გერმანიის დელეგაციას ვალად ედებოდა გერმანიის ინტერესების დაცვა. ეს მისი მოვალეობა იყო. სხვათა შორის ვირტმა განაცხადა: ყველაზე უფრო სერიოზული სწორედ ის საკითხებია, რომელსაც არ იხილავს გენუას კონფერენცია.

ბარტუს წერილი.

ბორდო, 24 აპრ. (ფრანგული რადიო). ბარტუმ მიმართა კონფერენციის თავმჯდომარე ფაქტას წერილით, რომელსაც 22 თებერვლის თარიღი აზის: წერილში იგი აღნიშნავს, რომ რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულებამ დაარღვია კანის დადგენილებანი და აგრეთვე გერმანიის სხვა ვალდებულებანიც. ბარტუ აგრეთვე აღნიშნავს, რომ რაპალოს ხელშეკრულებამ „დაარღვია ურთიერთისადმი ნდობა, რომელიც საჭირო და აუცილებელი იყო საერთაშორისო თანამშრომლობისათვის, რომლის განმტკიცებაც შეადგენდა გენუის კონფერენციის მთავარ მიზანს“.

პუანკარეს პოლიტიკა.

ნაუენი 24 აპრილი (გერმანული რადიო) საფრანგეთის სოციალისტური პრესა კიცხავს პუანკარეს ობსტრუქციონისტულ პოლიტიკას. მიუხედავათ ამისა პრესის ნაწილი დიდ კამპანიას აწარმოებს გერმანიის წინააღმდეგ. გაზეთი „ფილერი“ მოითხოვს „რურის რაიონში რეპრესიული ზომების“ რეჟიმის დაწესებას, ხოლო „ეხო დეპარი“ აცხადებს, რომ საფრანგეთმა შეცდომა ჩაიდინა, როდესაც ამდენი ხნის განმავლობაში არ გამოიწვია თავის წარმომადგენლები გენუიდან მაშინ, როდესაც ეს უნდა მომხდარიყო დაუყონებლივ რაპალოში ხელშეკრულების დადებისთანავე. პარიზის პრესა კიცხავს ბარტუს იმისათვის, რომ იგი იცდიდა მთელი ერთი კვირა, სანამ არ გადადგა ის ნაბიჯები, რომელსაც ახლა იგი სჩადის.

საფრანგეთის „უფლებები.“

ბერლინი. 24 აპრილი (გერმანული რადიო). პუანკარე უარყოფს იმ ხმებს, თითქოს საფრანგეთს სურდეს მიმართოს სამხედრო ზომებს გერმანიის ჩასაგონებლად. პუანკარე არწმუნებს ყველას იმაში, რომ საფრანგეთი მზად არის გასწიოს თანამშრომლობა ყველა სახელმწიფოებთან მხოლოდ იმ ერთი აუცილებელი პირობით, თუ საფრანგეთის უფლებები ენერგიულად დაცული იქნება.

საფრანგეთი იმუქრება.

ბერლინი. 24 აპრილი (გერმანული რადიო) სტეტი გაზ. „ტაიმსში“ იუწყება: საფრანგეთი და ზოგიერთი სხვა დელეგაციები დასტოვებენ გენუას თუ ლოიდ ჯორჯი კატეგორიულ პროტესტს არ განაცხადებს „ბოლშევიკების მოთხოვნილებათა“ წინააღმდეგ.

შიშს დიდი თვალები აქვს.

ბერლინი. 24 აპრილი, (გერმანული რადიო). გაზეთი „დეილ-მეილი“ ამტკიცებს, რომ რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულებაში არსებობს 5 საიდუმლო მუხლი, რომელიც ეხება გერმანიით პოლონეთისა, რუმინიისა და სხვა სახელმწიფოთათვის სამხედრო მასალის გადატანის საქმეს, მაგრამ ამ ცნობას კატეგორიულად უარყოფს გერმანიის მთავრობა, რომელიც აცხადებს, რომ ხელშეკრულებაში ასეთ რამეს ადგილი არა აქვს. ყოველივე ეს მოგონილია რაპალოს ხელშეკრულების პროვოკაციისათვის.

ბორდო. 24 აპრილი, (ფრანგული რადიო). ინგლისური გაზეთ „დეილი ნიუზ“-ის ცნობით ჩიჩერინმა მოსკოვიდან მიიღო დეპეშა, რომლითაც მას აუწყებს, რომ „წითელი არმია მზად არის ყოველგვარ შემთხვევისთვის“. რუსეთის მოსაზღვრე სახელმწიფოებიდან მიღებული ცნობების მიხედვით აგრესიული მოქმედებანი მიმართულია მხოლოდ პოლონეთის და რუმინიის წინააღმდეგ.

პარიზი. 24 აპრილი, (საფრანგეთის რადიო). გაზეთი „ტაიმსი“ ამტკიცებს, რომ რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულებაში არის მუხლები, რომელიც შეიცავს გერმანიის ვალდებულებას არ გაუშვას სამხედრო იარაღი რუმინიისა, პოლონეთისა და სხვა სახელმწიფოთათვის. თავის მხრივ რუსეთი ვალად იღებს მისცეს კრუპის ქარხანას კონცესიები რუსეთის ტერიტორიაზე სამხედრო მასალის დასამზადებლად.

პარიზი. 24 აპრილი, (ფრანგული რადიო). გაზეთ „პტი-პარიზიენი“-ს ცნობით რაკოვსკიმ ჟურნალისტებთან ბაასის დროს, მათ შეკითხვაზე არსებობს თუ არა რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულებაში საიდუმლო მუხლები, გასცა ირიბი პასუხი, რითაც გამოიწვია „საერთო გაკვირვება“, რადგან ერთი დღის წინ მან სულ სხვა გვარი კატეგორიული განცხადება გააკეთა.

ვირტის პროტესტი.

ლონდონი. 24 აპრილი, (ინგლისური რადიო). ვირტმა მიმართა ფაქტას პროტესტით ბარტუს მიერ კონფერენციის თავმჯდომარის სახელზე გაგზავნილი წერილის შესახებ, რომელშიც საფრანგეთის წარმომადგენელი ბრალს სდებს გერმანიის დელეგაციას ყალბი ცნობების მიწოდებაში. ვირტი აღნიშნავს, რომ ეს ბრალდება მით უფრო მძიმეა, რომ იგი ეხება იტალიას.

მოკავშირეთა „კონტრ შეტევა“.

პარიზი. 24 აპრილი, (ფრანგული რადიო). ჰავასის სააგენტოს ცნობით მოკავშირეთა და მცირე ანტანტის დელეგაციის მეთაურებმა მიიღეს გერმანიის პასუხის პროექტი, რომელიც შემუშავებული იყო ბრიტანეთის იურიდიულ ექსპერტის მიერ. მიღებულ იქნა ბარტუს შესწორება, ლოიდ-ჯორჯის მიერ მოწონებული, — რომლითაც უფლება ეძლევა სახელმწიფოთ განიხილონ რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულება. მიღებულ იქნა შანცერის მეორე შესწორება, რომლითაც იტალიის ინციდენტი ამოწურულად მიაჩნია. ამავე სხდომაზე ბრატიანომ მცირე ანტანტის სახელით მოუწოდა ყველა სახელმწიფოთა შორის უფრო მტკიცე კავშირის შექმნისაკენ, რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულების საწინააღმდეგოთ. ბრატიანომ იქვე გამოთქვა, რომ მოკავშირეთა კონტრ-შეტევას ექნება ევროპისათვის სასარგებლო შედეგი და იგი გააქარწყლებს რაპალოში დადებული ხელშეკრულების საშინელ ხასიათს.

ბორდო. 24 აპრილი. (ფრანგული რადიო). გერმანიის ნოტაზე პასუხში კმაყოფილება არის გამოთქმული გერმანიის უარის შესახებ პოლიტიკურ კომისიაში მონაწილეობის მიღებაზე. გერმანიის ქინიანობას შეეძლო გამოეწვია უფრო სერიოზული შედეგები. ნოტა აღნიშნავს, რომ არავინ არ ფიქრობდა თუ ლონდონის მოხსენება მიიყვანდა გერმანიას რუსეთთან საიდუმლო ხელშეკრულების დადებამდე. ლონდონის მოთხოვნილებათა შეცდომას ან და არაპირდაპირი განმარტებას რუსეთის დელეგატებთან ოფიციალური მოლაპარაკებისას, შეეძლო გერმანია მიეყვანა იმ მდგომარეობამდის, რომ მას მოეთხოვა მისი განხილვა კომისიის სხდომაზე ხოლო ის კი რაც მოხდა არ შეიძლება ახსნილ ან გამართლებულ იქნეს. სახელმწიფონი მთელ პასუხისმგებლობას გერმანიის არა ლოიალურ მოქმედებაზე, სდებენ თვით გერმანიის დელეგაციას, რომელიც ამგვარი მოქმედებით აბრკოლებს საერთაშორისო თანამშრომლობას ევროპის აღდგენისათვის.

ლოიდ-ჯორჯი მზადაა ყოველივესთვის.

პარიზი. 24 აპრ. (ფრანგული რადიო). ლოიდ-ჯორჯმა მოიწონა ბრატიანოს განცხადება მთლიანი მოქმედებისა „რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულების საშინელი ხასიათის გასაქარწყლებლად“ და გამოსთქვა სურვილი ყველა მოკავშირეთა ურთიერთ შეთანხმებისა. ამასთან ლოიდ-ჯორჯმა კატეგორიულად აღნიშნა, რომ ამ შეთანხმებამ უნდა მიგვიყვანოს მშვიდობიანობამდის და არა ანტაგონიზმის გაღვივებამდე. ამისათვის იგი ყოველივესთვის მზად არის და აცხადებს, რომ ინგლისის დემოკრატია მიისწრაფვის მხოლოდ მშვიდობიანობისაკენ.

ახალი დაბრკოლებანი,

ნაუენი. 24 აპრ. (გერმანული რადიო). საფრანგეთის დელეგაციის ქინიანობა გერმანიის პასუხში ქნის ახალ დაბრკოლებებს. ბარტუმ მიმართა პროტესტით ფაქტას გერმანიის ნოტის ფორმისა და შინაარსის წინააღმდეგ და მოითხოვს, რომ 9 (ცხრა) სახელმწიფომ უარყონ რაპალოს ხელშეკრულება. ბარტუს ამ განცხადებამ სენსაცია გამოიწვია გენუაში.

ინგლისელებს სწამთ კონფერენციის სასურველად დამთავრება.

ბერლინი. 24 აპრილი. (გერმანული რადიო). რეიტერის სააგენტო იტყობინება, რომ თუმცა ბრიტანეთის წრეები არც თუ მაინცდამაინც ოპტიმისტურად არიან განწყობილნი და ფიქრობენ, რომ სერიოზული დაბრკოლებებია მოსალოდნელი, მაგრამ მაინც არიან დარწმუნებულნი კონფერენციის სასურველად დამთავრებაში. სტიდმა დეპეშით შეატყობინა გაზ. „ტაიმს“, რომ ბრიტანეთის დელეგაციას გერმანიის პასუხი დამაკმაყოფილებლად მიაჩნია.

სატრანსპორტო კომისია.

გენუა. 23 აპრილი. (იტალიის რადიო). 22 აპრილს მოხდა მე-3 სხდომა სარკინიგზო ქვეკომისიისა. პროექტი რეზოლიუციისა სარკინიგზო მოძრაობის შესახებ შესწორებულ იქნა თანახმად სათანადო შესწორებებისა და წინადადებებისა. რეზოლიუციის პირველი სამი მუხლი მიღებულ იქნა ერთხმად ყველა სახელმწიფოთაგან. ზოგიერთი შესწორებები შეიტანა რუსეთის დელეგაციამ იმ ვალდებულებათა შესახებ, რომელიც ნაკარნახევია საზავო ხელშეკრულებებით, რომელშიაც რუსეთს მონაწილეობა არ მიუღია. ამჟამად იხილავენ რეზოლიუციის სხვა პუნქტებს. რეზოლიუციის საბოლოო ტექსტი განიხილება 24 აპრილის სხდომაზე.

რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულების გარშემო.

სანტა მარგარიტა. 23 აპრილი, (რუსეთის დელეგაციის პრესბიუროს რადიო). ოთხშაბათს სწარმოებდა ანტანტის წრეებში ინტენსიური მუშაობა რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულების გარშემო. აამუშავეს შანტაჟი მუქარა და შთაგონებანი, რათა მიაღწიონ ხელშეკრულების გაუქმებას. ბურჟუაზიულ გაზეთებს მისცეს დირექტივა დააფრთხონ ხალხი დამარცხებულ ქვეყნების კავშირით, რომელთა შორისაც რუსეთსაც ასახელებენ. გაზეთებმა შესცვალეს ტონი და უფრო მკაცრათ ილაშქრებენ განსაკუთრებით გერმანიისა და ნაწილობრივ რუსეთის წინააღმდეგ. იტალიურ გაზეთებიდან ხელშეკრულებას, კომუნისტურ გაზეთების გარდა, დადებითად უყურებენ გაზ. „ავანტი“, ორგანო უკიდურეს მემარჯვენე სოციალისტებისა, გაზ „ილ-ლიორო“ ყოფილ პრემიერი ნიტის გავლენიანი ორგანო.

რუსეთის კონტრ-მემორანდუმი.

სანტა მარგარიტა. 22 აპრილი, (რუსეთის დელეგაციის პრეს-ბიუროს რადიო-მოსკოვით). გაზეთებში დაბეჭდილია რაკოვსკის განცხადება, რომ რუსეთის კონტრ მემორანდუმი მზად არის და იგი ყოველ საჭირო დროს წარედგინება პოლიტიკურ კომისიას.

რუმინია და რუსეთი.

სანტა მარგარიტა. 22 აპრილი, (რუსეთის დელეგაციის პრესბიუროს რადიო მოსკოვით) რუმინიის დელეგაციის თავმჯდომარე დიამანდიმ განაცხადა, რომ რუმინიის მთავრობას განზრახვა აქვს წარუდგინოს რუსეთის დელეგაციას შემდეგი მოთხოვნილებანი: დაუბრუნდეს რუმინიას ოქროს ფონდი 320 მილ. ფრანკისა დაბრუნება სხვა ძვირფას ნივთებისა და არქივისა. ყველა ეს ძვირფასი ქონება გატანილ იქმნა რუსეთში ომის დროს და არ დაბრუნებია რუმინიას. „რუმინიას—განაცხადა დიამანდიმ, უფლება აქვს იგინი უკანვე მოითხოვოს“. გაზეთი „მატენი“ ვრცლად ეხება დიამანდის მიერ წამოყენებულ საკითხს „საბჭოთა მთავრობას—აცხადებს გაზეთი — ამდენ ხანს არ უცვნია ბესარაბიის რუმინიისათვის შეერთება. რუსეთ-რუმინიის საზღვრის საკითხი ჯერაც ისეთი მოუწესრიგებელია, როგორც რუმინიისათვის ძვირფასი ქონების უკანვე დაბრუნების საკითხი. ყველა ეს გარემოება კი ართულებს რუსეთ-რუმინიის დამოკიდებულებას“.

რუმინიის გარეშე საქმეთა მინისტრმა განუცხადა გაზეთ „ტან“-ის კორესპონდენტს, რომ რუმინია გენუას კონფერენციაზე კატეგორიულად მოითხოვს გატანილ ძვირფას ნივთეულების დაბრუნებას. რაკოვსკი კატეგორიულად უარყოფს ფრანგების მიერ გავრცელებულ ხმებს თითქოს რუსეთი სთხოვდეს რუმინიას ბესარაბიის დათმობისათვის 15 მილიონ მანეთს. „ჩვენ არ ვაჭრობთ ბესარაბიით“ განაცხადა რაკოვსკიმ.

სხდომის შეწყვეტის დროს.

სანტა-მარგარიტა, 22 აპრილი (რუსეთის დელეგაციის პრესბიუროს რადიო მოსკოვით) კონფერენციის კრებებისა და პოლიტიკურ კომისიის სხდომების შეწყვეტის ჟამს დელეგატები დროს ატარებენ სხვა და სხვა შეხვედრებში, ბანკეტებში და საუზმეებში სხვა და სხვა კომბინაციებში. თუ [illegible] ჩვენი დელეგატები, გაზეთები წვრილად სწერენ, თუ [illegible] მენ ისინი, როგორ სხედან და რას ლაპარაკობენ. საბჭოთა დელეგაციას ხშირად ესტუმრებიან დიპლომატები, უფრო ხშირად კი ინგლისელები და გერმანელები. მოდიან ზოგიერთი მუშათა ორგანიზაციის წარმომადგენლები მოღვაწენი პროფ-კავშირების კოოპერაციის, მუნიციპალიტეტის და სხვ. ამ დელეგაციის წევრები ვრცლად აცნობენ რუსეთის დელეგაციას იტალიის მოძრაობის დეტალებს და თვითონაც ეცნობიან რუსეთის მდგომარეობას. ისინი ლაპარაკობენ იტალიის მუშების ღრმა სიმპატიებზე რუსეთელ ამხანაგებისადმი და სთვლიან რუსეთის დელეგაციის გენუაში ჩამოსვლას დიდ პოლიტიკურ ფაქტად. მათ სწამთ, რომ შექმნილი პირობების მიხედვით დელეგაციას არ ძალუძს უშუალო კავშირი დაიჭიროს იტალიის მუშათა წრეებთან, რათა თვით ნათლად დარწმუნდეს იტალიის პროლეტარიატის რუსეთის მუშებისადმი გულწრფელ სიმპატიებში. გარდა ამგვარი პირადი სტუმრობისა რუსეთის დელეგაციას მოსდის მრავალი წერილობითი და დეპეშით მილოცვები იტალიის ყველა კუთხეებიდან კომუნისტებიდან, სოციალისტებიდან, მუშათა კლუბებიდან, ქალაქის თვითმართველობიდან, შრომის კამერებიდან და ომის საწინააღმდეგო პროლეტარულ ლიგიდან. როგორც კი გამოქვეყნდა რუსეთ გერმანიის ხელშეკრულების დადების ცნობა, რუსეთის დელეგაციას მოუვიდა მრავალი მილოცვები მუშათა ორგანიზაციებიდან. მაგალითად შრომის კამერიის მდივანი სოვაიი იუწყება, რომ მუშებმა აღფრთოვანებით მიიღეს მისალმების გაგზავნა ხელშეკრულების შესახებ. ბურჟუაზიის გაშმაგება მაჩვენებელია იმისა, რომ ძველი დიპლომატია აღმოჩნდა დამარცხებული, ხოლო ახალი საბჭოსი კი გამარჯვებული დარჩა.

აფეთქება ბულონში.

პარიზი 23 აპრილი (რადიო). ინგლისელთა ბანაკში, რომელიც არის ბულონში „სიურ-მერში“ ხელახლა მოხდა ყუმბარის აფეთქება. მოკლულ იქნა სამი, დაიჭრა ოთხი.

მოკავშირეთა ნოტა საბერძნეთ ოსმალეთის დროებითი ზავის შესახებ.

ტრაპიზონი 19 აპრილი (რადიო). გაზეთი „ისტიკბალი“ სწერს: ანგორაში მიღებულია მოკავშირეთა პასუხი ჩვენ კონტრ-პირობებზე. სჩანს, რომ მოკავშირეებს არ სურთ მიიღონ ჩვენი პირობები ბერძნების მიერ ანატოლიის წინასწარი დაცლის შესახებ. ასეთია მოკავშირეთა პასუხის აზრი. შემდეგ გაზეთს მოჰყავს პასუხის ოფიციალური ტექსტი, რომლის შინაარსიც შემდეგია: „ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის მთავრობებს პატივი აქვსთ გაცნობოსთ, რომ მათ მიიღეს ანგორის მთავრობის ნოტა 5 აპრილის თარიღით, დროებითი ზავის ჩამოგდების შესახებ. ნოტიდან სჩანს, რომ ანგორის მთავრობამ პრინციპში მიიღო დროებითი ზავის ჩამოგდება, რისთვისაც კონტრ-პირობის სახით მოითხოვა ბერძნების მიერ დაკავებულ ტერიტორიის წინასწარი დაცლა და მათი ანგორისათვის გადაცემა და თანახმობა განაცხადა გაგზავნოს თავისი წარმომადგენლები მოლაპარაკების საწარმოებლად იმ ქალაქში, რომელიც იქნება ამ მიზნისათვის ამორჩეული. დიდ სახელმწიფოთა მთავრობები სიამოვნებით იღებენ ამ წინადადებას, მაგრამ ფიქრობენ, რომ ანატოლიის დაუყონებლივ დაცლის კონტრ-პირობები არ შეიძლება მიღებულ იყოს. სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ საბერძნეთის მთავრობა უარს იტყვის ამ კონტრ-პირობების მიღებაზე. მოკავშირეთა მთავრობებს სურთ, რამდენათაც შესაძლებელია შესრულონ ანგორის მთავრობის ყველა მოთხოვნილებანი, რათა შემცირებულ იქნეს ის ვადა, რომლის განმავლობაში განთავისუფლებულ უნდა იქნეს ბერძნების მიერ დაკავებული ადგილები. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ მას შემდეგ რაც ანგორის მთავრობამ პრინციპიალურად მიიღო დროებითი ზავის წინადადება, დაინტერესებულ მხარეთ უფლება აქვთ განიხილონ მეორე ხარისხოვანი საკითხები, რომლის დროსაც შეიძლება შეთანხმება მოხდეს დაპყრობილ ადგილების დაცლის ვადის შესახებაც. მოკავშირე სახელმწიფონი იზიარებენ ანგორის წინადადებას დროებითი ზავის ვადის შესახებ, მაგრამ ისინი ფიქრობენ, რომ ზავის ხელმოწერის შემდეგ, როდესაც დაიწყება საომარი მოქმედების შეჩერება და მეომარი სახელმწიფონი დაიწყებენ მშვიდობიან ცხოვრებას, მაშინ ეს ვადა თავის და თავად განისაზღვრება. მოკავშირე სახელმწიფონი მიზნათ ისახავენ შეასრულონ, რამდენათაც ეს შესაძლებელია, ანგორის მთავრობის წინადადებათა უმრავლესობა და გულწრფელათა სურთ საჩქაროთ შეწყვეტილ იქნეს საომარი მოქმედება აღნიშნულ პირობების საფუძველზე; ისინი სთხოვენ ანგორის მთავრობას აცნობოს მათ სახელი და გვარი თავის რწმუნებულებისა მოლაპარაკების საწარმოებლად. ქალაქის ამორჩევის უფლებას მოკავშირენი იტოვებენ თავის თავზე.

ქრონიკა

◆ **ქალაქის აღმასკომის კომუნალურ განყოფილებისაგან** აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული კომუნალური განყოფილება ამით აცხადებს, საყოველთაოდ, რომ აღებულ სახლების დემუნიციპალიზაციის შესახებ განყოფილება არავითარ განცხადებებს არ ღებულობს.

◆ **ჩვენი კურორტები.** საზაფხულო კურორტების მომავალში გახსნის გამო ჯანმრთელობის კომისარიატში შესდგა თათბირი მათ მოწყობის საკითხის განსახილველად. თათბირში მონაწილეობა მიიღეს ჯანმრთელობის კომისარიატის და სახ. მეურნ. უმაღ. საბჭოს წარმომადგენლებმა. გამომუშავებულია კურორტებზე ფასიან ავადმყოფების მიღების და შენახვის პირობები. გარდა ბორჯომისა, აბასთუმანისა, ცემისა, წყლევერისა, ახტალისა, კოჯორისა და მანგლისისა—ჯანმრთელობის კომისარიატი გახსნის სანატორიუმებს შავი ზღვის სანაპიროებზედაც.

◆ **მაგარ სასმელების თავისუფლად გაყიდვის პროექტი.** გამოიმუშავა ფინანსთა კომისარიატის არა პირდაპირ გადასახადების განყოფილებამ და წარუდგინა სახალხო კომისართა საბჭოს.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო.

ქუთაისი. 20 აპრ. რევოლიუციონურ ტრიბუნალში.

ქუთაისის რევოლიუციონურ ტრიბუნალს დიდი მუშაობა სჭირდება. ეს არა იმიტომ თითქოს ქუთაისის მაზრაში უფრო მეტი ბოროტ-მოქმედებებსა და ბანდიტიზმს ქონდეს ადგილი. მხოლოდ იმიტომ, რომ ადმინისტრაციის აპარატიცა და თვით მცხოვრებიც უფლებრივათ დაინტერესებულნი არიან არ დასტოვონ დაუსჯელად არც ერთი უფლებრივი დარღვევა, საამხანაგო ორგანოთა ზეგავლენის გარეშე. აი, მაგალითად, ერთი ჩვეულებრივი საქმეთაგანი, რომელიც გაარჩია რევოლიუციონურმა ტრიბუნალმა. სადეჯტრაოს თემის რევკომის ყოფილმა თავმჯდომარემ ყანჩაველმა შეურაცყოფა მიაყენა ელისაბედ დემეტრაძეს მისწერა რა მას დაეტოვებია თავისი ოჯახი და გადასულიყო მასთან საცხოვრებლად. რადგანაც მან პასუხი არ მიიღო, სიმთვრალეში მაშინ, როდესაც ქალის ქმარი შინ არ იყო, იგი მივიდა მასთან, შეუტეხა კარები და მოსთხოვა პასუხი თავის წერილზე. სასამართლომ მიუსაჯა ყანჩაველს გამასწორებელი სახლი 2 წლით იძულებითი სამუშაოზე გაყვანით. საქართველოს რევკომის 7 ნოემბრის ძალით სასჯელის ვადა მას შეუმცირეს ნახევრად, მაგრამ ვინაიდან იგი ძლიერ დასნეულებული აღმოჩნდა, სასამართლოს სასჯელი მას პირობით მიუსაჯა. ამ პროცესში დამახასიათებელია არა თვით საქმის შინაარსი, არამედ ის, რომ ასეთი ჩვეულებრივი ამბავი, რომელიც წინად სრულებითაც არ მიდიოდა სასამართლოს კარებამდე და სწყდებოდა მხარეთა ზეგავლენით—ახლა შეიქნა საჭიროთ მართლ-მსაჯულების ობიექტად. პროლეტარულ სასამართლოს ავტორიტეტი იზრდება და ყველას უღვიძებს მისდამი პატივისცემის გრძნობას. უფრო დიდ საქმეთა შორის, რომელიც დამთავრდა უმაღლესი სასჯელას მინიჭებით, აღსანიშნავია ერთი. რაჭას მაზრის სოფელ ჯვარისის მცხოვრები გლეხი ლავრენტი ბიბილაშვილი 31 წლისა. ცნობილ იქნა დამნაშავეთ თავისი ძმის, რძალის, ორი ძმისწულის და ორი სხვა მოქალაქის წინად განზრახულ მკვლელობაში.

ფოთი.

ფოთი. 20 აპრ. შავიქვის ეჯანა. ამ დღეებში ფოთში გაიმართა თათბირი, რომელსაც დაესწრენ წარმომადგენლები შავიქვის კომიტეტის, რკინის გზის, საზოგადოება, „ჩემო“ ს დირექტორი, და თბილისიდან ჩამოსული ექსპორტიორები; თათბირზე ირჩეოდა საკითხი საზღვარ გარეთ შავიქვის გატანის საქმის მოწესრიგების შესახებ. თათბირმა მიიღო რა მხედველობაში ის გარემოება, რომ ამ ჟამად ფოთში იტვირთება 4 გემი, რომელთაგან „მარშალ პლიუმერ“-ს და „დინამორე“-ს შეუძლიათ 5.000 ტონის წაღება, ხოლო „ალაგუგა“-სა და „კონტესსა“-ს კი 6,000 ტონის და აგრეთვე ის გარემოება, რომ ამ უახლოეს ხანაში კიდევ მოვა 3 გემი, რომელნიც უნდა მივიდნენ ხსენებული გემების დატვირთვის დამთავრების შემდეგ,—თათბირმა ნორმალურად იცნო ერთდროული დატვირთვა ამ 4 გემისა. ყოველი გემი უნდა ღებულობდეს დღიურად 300-400 ტონს; ამ რიგად აქ ოთხივე გემისათვის საჭირო იქნება ყოველდღიურად 1600 ტონი შავიქვა, რისთვისაც საჭირო იქნება 3 მატარებელი, თვითეულში 45 ვაგონით; საერთოდ კი შავიქვის პარკში ამ 4 გემის უზრუნველსაყოფად უნდა იქნეს 300 ვაგონი, რადგანაც 25 30 ვაგონი საჭირო იქნება თვით ფოთში შავიქვის ადგილობრივ საწყობიდან გემებამდის მისატანად. არსებული ცნობების მიხედვით ექსპორტიორები ფიქრობენ, რომ მიმდინარე წლის განმავლობაში საქართველოდან გაზიდულ უნდა იქნეს 30 მილიონ ფუთამდის შავიქვა თუ აღძრული საკითხი ტარიფის შემცირებისა ფოთსა და ბათუმამდის იქნება დადებითად გადაწყვეტილი იმ გვარი პროპორციით, როგოლის დროსაც შე-

⁂

სულის არეში ამაყი ქარი
შეარყევს მარდათ ფიქრთა სიმშვიდეს.
ამოუდგება ზღვა ბობოქარი
და გადასცდება ნაპირის კიდეს.

ბრძოლის წყურვილი სხეულს დაივლის,
ედება ცეცხლი სულის მწვერვალებს
და განთიადის წყურვილი ხილვის
მწარე კაეშანს გაატიალებს.

ვარ ბრძოლის ცეცხლის ალმურით მთვრალი
და გატაცება მხიბლავს გმირული.
ვარ უშიშარი, როგორც გრიგალი.
თან უდარდელი, თან განწირული.

გ—ძე.

საძლებელი გახდება ფრახტმა გაუძლოს კონკურენციას საზღვარ-გარეთის ბაზარზე სხვა სხვა სახელმწიფოთ, რომელთაც ბაზარზე გამოაქვთ შავი-ქვა.

აფხაზეთი.

სოხუმი. ეროვნული უმცირესობანი. აფხაზეთის საოლქო კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებასთან არსდება ეროვნულ უმცირესობათა ქვეგანყოფილება. ქვეგანყოფილების მიზანი გააერთიანოს და უხელმძღვანელოს აფხაზეთის რესპუბლიკის ეროვნულ უმცირესობათა შორის წარმოებულ აგიტაცია-პროპაგანდას. ქვეგანყოფილებამ უნდა შეიმუშაოს და წარუდგინოს პარტიას საბჭოსა და პარტიის ალმშენებლობის საკითხები, რომელნიც გამომდინარეობენ ამ ეროვნულ უმცირესობათა ჩვეულებათა და კულტურის თავისებურებისაგან და შეასრულოს მათ მიმართ პარტიულ კომიტეტების სპეციალი დავალებანი.

სასურსათო გადასახადი. კოდორის სამაზრო პარტკომის უკანასკნელ დანიშნულებად გახდა ყოველგვარი დახმარების აღმოჩენა მაზრაში სასურსათო გადასახადის აკრეფის საქმეში. ამ მიზნით სოფლის „იაჩეიკებში“ სწარმოებდა მოხსენებების გამართვა სასურსათო გადასახადის მნიშვნელობის შესახებ. ყველა კრებებზე გამოქონდათ რეზოლიუციები სასურსათო გადასახადის მთლიანად აკრეფის შესახებ და ამ მიზნით მობილიზაციით იყვენ გაწვეულნი „იაჩეიკის“ ზოგი წევრები. მოსალოდნელია გადასახადის აკრეფის კარგი შედეგები.

პარტიული მუშაობა კოდორის რაიონში. კოდორის სამაზრო პარტკომთან დაარსდა სექცია ქალთა შორის მუშაობის საწარმოებლად. ჯერჯერობით სწარმოებს საორგანიზაციო და მოსამზადებელი მუშაობა ქალ. ოჩემჩირში. კოდორის სამაზრო ახალგაზდა კომუნისტთა კავშირმა მოაწყო მარტში სამაზრო კონფერენცია.

სკოლის საქმე. გაგრის რაიონში არსებობს ერთი შვიდ წლიანი სასწავლებელი და 5 არა სრული 2—5 კლასიანამდე სასწავლებელი: ამ სკოლებიდან 3 ბერძნულია, 2 ქართული და 1 რუსული. პედაგოგიური პერსონალის უქონლობის გამო სამოსწავლო წლის დასაწყისში დახურულ იქნა ორი სომხური სკოლა. სახელმძღვანელო წიგნების უქონლობისა და სასკოლო ბინების უვარგისობის გამო სკოლებში ჯერ ჯერობით სწავლა რიგიანად ვერ სწარმოებს. გარდა სკოლებისა მაზრაში არსებობს ორი საბავშვო ბაღი. აქ საქმე რიგიანად არის დაყენებული, მაგრამ მაინც არის სახელმძღვანელოების მოთხოვნილება.

სომხეთში

ერევანი 22 აპრილი (რადიო). 1 მაისის დღესასწაულისათვის. 1 მაისის დღესასწაულის მოწყობამ კომისიამ რომელშიც შედიან წარმომადგენელნი სომხეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტისა, პროფესიონალური კავშირებისა, პოლიტიკურ განყოფილებისა, სარმიო ბრიგადისა, მთავარი პოლიტიკური მმართველობისა და ახალგაზდათა კომუნისტური კავშირისა—უკვე შეიმუშავა დღესასწაულის პროგრამა: ერევანში და ადგილობრივ პროვინციებში მოწყობილ იქნება მიტინგები, პროცესიათა მსვლელობანი, კონცერტები, ლექციები და სხვ. შემუშავებულია სათანადო ლოზუნგები. ერევანში სამხედრო ნაწილები მიიღებენ ფიცს.

უპარტიო მუშმადიანთა ყრილობა სომხეთის კომუნისტური პარტიის საგიტაციო განყოფილების ინიციატივით იჯევანში აპრილის ბოლო რიცხვებში მოწვეულ იქნება მაზრის უპარტიო მუშმადიანთა ყრილობა.

აზერბეიჯანი

ბაქო. 22 აპრილი. (რადიო). მოსავალი გამოკეთდა. ამ უკანასკნელ ხანებში მოსულ წვიმებმა პირდაპირ იხსნეს მოსავალი, რადგანაც სარწყავ არხებში წყალი სრულებით არ მოიპოვებოდა, ხოლო საჭირო კი იყო მეორეთ მორწყვის დაწყება. ამჟამად ნათესი ძლიერ კარგად იზრდება.

ნავთის ფრონტზე. მარტში ბაქოს რაიონის ქარხნებში გადმოქაჩულ იქნა 8 685.458 ფუთი ნავთი, მაშინ, როდესაც უნდა გადმოქაჩულიყო 10 500.000 ფუთი, რაც შეადგენს 82,7 პროც. ეს გარემოება აიხსნება იმით, რომ 2.7 მილიონი ფუთი ნავთი არ ვარგოდა გადმოსაქაჩათ, თუმცა გაწმენდილ იქნა 4 216.112 ფუთი ნავთი, რაც შეადგენს 123 პროც. მეტს გაწესებულ დანიშნულებისას. ბაქოს ყველა წარმოებებში ნავთის ამოღების რაოდენობა მარტის განმავლობაში უდრის 15 701.418 ფუთს. თუ ამას შევადარებთ იანვრისა და თებერვლის განმავლობაში ამოღებულ ფუთი ნავთის რაოდენობას, ჩვენ დავინახავთ, რომ იგი აღემატება იანვრის ამოღებას 255.3 ათასი ფუთით, ხოლო თებერვლისას 1 277,760 ფუთით. თუმცა მარტის განმავლობაში მომხდარი ამოღება ბევრად აღემატება თებერვლისას, მაგრამ მარტში მუშაობა უფრო ნაკლებ ინტენსიურად სწარმოებდა, ვინემ თებერვალში. დღიური საშვალო ამოღება თებერვალში უდრიდა—515.000 ფუთს, მარტში კი მხოლოდ 365.5 ათას ფუთს, მიუხედავათ იმისა, რომ ყოველდღიურად საექსპლოატაციო ხვრეტის რიცხვი მარტში უდრიდა 1190, ე. ი. 41 ხვრეტით მეტი იყო ვინემ თებერვალში. ამოკასვრული ამოღება, რომელიც მარტში უდრიდა 7.951.8 ათას ფუთს თებერვალთან შედარებით გაიზარდა 763.5 ათას ფუთით. ამოღების შედეგების სიმცირე აიხსნება იმ გარემოებით, რომ საერთოდ დაეცა ნავთის ამოღება უმთავრესად ბისი—იბატის რაიონში 165,7 ათასი ფუთით და ნაწილობრივ სურახანის რაიონშიც. ორივე ამ რაიონში ნავთის ამოღება ცვალებადია; ეს რაიონები ყველაზე უფრო პროდუქტიულია, მაგრამ მათში 1—2 პროდუქტიული ხვრეტის გაფუჭება ძლიერ გავლენას ახდენს საერთოდ ამოღების პროდუქტიულობაზე. ექსპლოატაციაში ჩაბმულ მუშათა საერთო რიცხვი 1 მარტისათვის უდრიდა 12.289 კაცს, ხოლო 1 აპრილისათვის იგი გაიზარდა 15.581-მდის. ზედმეტი მუშაობის მეოხებით ამოღებულ იქნა 585 926 ფუთი ნავთი, რაიც შეადგენს საერთო ამოღების 7,4 პროც. ზეთიანი ნავთი მარტის განმავლობაში ამოღებულ იქნა 5 660 050 ფუთი, ე. ი. 78,5 პროც. ბმლოებისას, ბალახანი, საბუნჩნო, რომანიესკის რაიონებისას, რომელნიც იძლევიან ზეთიან ნავთს. ნავთის საერთო გასავალი და წარმოება მარტის განმავლობაში გამოიხატება 2.988 992 ფუთს, შედარებით იმ 11.889,120 ფუთთან, რომელიც დაიხარჯა თებერვალში.

სკოლის საქმე. აგდამიდან იტყობინებიან შემდეგს: სახალხო განათლების განყოფილებამ ყოველგვარი ზომები მიიღო, რომ სკოლებისათვის თავის დროზე მიეწოდებია სახელმძღვანელოები და წიგნები. ამ მხრივ მისი მოღვაწეობა ნაყოფიერი გამოდგა. დაისახა რა თავის მიზნათ შრომის სკოლის შექმნა, სახალხო განათლების განყოფილებამ შეიტანა სკოლებში შრომის პრინციპი, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ სკოლებში სწარმოებდა მიწების დახვნა მშობელთა და მოწაფეთა თანადასწრებით. მოსავლის მოვლა და მოწევა იწარმოებს სასკოლო კოლექტივების აქტიური დახმარებით. ბევრ სკოლებთან გაშენებულია ბაღები და სწარმოებს მოწაფეთაგან კალათების მოწვნა ზღვის ბალახიდან. სახალხო განათლების განყოფილების გამგებლობაში საბავშვო სახლი, რომელთანაც არსებობს სპეციალური სკოლა წერაკითხვისა თათრულსა და რუსულ ენებზე წერაკითხვის უცოდინარობასთან საბრძოლველად—სახალხო განათლების განყოფილება აწყობდა პერიოდულ კურსებს, რომელთა რიცხვი ამჟამად უდრის 20. მატერიალური სალსარის უქონლობის გამო სახალხო განათლების განყოფილებას საშვალება არა აქვს მისცეს მოწაფეთ აუცილებელი ტანსაცმელი და ფეხსაცმელები. უკვე დამთავრდა სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დანიშნული აღწერა კულტურულ განმანათლებელ დაწესებულებებისა.

თესვის კამპანია. აგდარის მაზრაში გაზაფხულზე დასათესად მიწათმოქმედების სამაზრო განყოფილებას აქვს 800 ფუთი „ჩალტიკა“ და 2000 ფუთამდე ბამბის სათესლე. მიწათმოქმედების სამაზრო განყოფილება მთავარ ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ გუბერნიაში ყველა მიწები იქნეს დახნული და დათესილი. გლეხობის შორის სწარმოებს დიდი აგიტაცია მიწების ბამბით დათესვისა და მეაბრეშუმეობის შემოღების შესახებ.

ზურნაბადის სადგურის აღდგენა. სახალხო კომისართა საბჭომ გადადო 1 მილიარდი მანეთი ზურნაბადის შავჭირის საწინააღმდეგო სადგურის აღსადგენად. განზრახულია დამუშავდეს 10 ათასი ლიტრა სითხე აზერბეიჯანისა, სომხეთისა და დაღესტანის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, რადგან ამ ორ უკანასკნელში გავრცელებული შავი ჭირის ეპიზოტი სახიფათო მდგომარეობაში აყენებს აზერბეიჯანსაც.

გადამდები სნეულებანი. მარტის თვის უკანასკნელ კვირეში ბაქოში და მის რაიონში შემდეგ ავადმყოფობათ ქონდა ადგილი: პარტახტიანი ტიფით ავად გახდა—117, შემობრუნებულ ტიფით—84, ტიფით—5, ხუნაგით 1 და ყვავილით—2.

პატარა ფელეტონი

კიდევ ომი

კაცობრიობამ ძლივს თავისუფლათ ამოისუნთქა, როდესაც ადამიანების სიცოცხლის ათასობით გამანადგურებელი ომი ჩათავდა. მეომარ სახელმწიფოების წარმომადგენლები მეცამეტჯერ იკრიბებიან კონფერენციაზე გენუიაში ზავის ჩამოსაგდებათ.

როგორც დამარცხებული, ისე გამარჯვებული მხარეები ისინჯავენ ომში დაბრეცვილ გვერდებს და გაჩეხილ თავებზე მალამოს იცხებენ.

გაზეთებმა შესწყვიტეს ომში მომხდარი და არ მომხდარი ამბების დიდი ასოებით ბეჭდვა და შეუდგენ წვრილი ასოებით მკითხველებისათვის ცნობების მიწოდებას იმის შესახებ, თუ რა ჭირნახული უფრო იხეირებს ზარბაზნების ყუმბარებით დახნულ და სისხლით მორწყულ ბრძოლის ველებზე.

კაცობრიობის აშლილმა ნერვებმა ნელნელა დამშვიდება იწყეს. მართალია, ტემპერატურა საგრძნობლათ აიწია გენუის კონფერენციის წინ, მაგრამ აგრეთვე საგრძნობლათ დაეშო, როდესაც გამოირკვა, რომ ჩიჩერინი და მისი თანამშრომლები არც ისეთი კაციჭამიები ყოფილან, როგორც მათ შესახებ ევროპაში ავრცელებდენ ხმებს დამფრთხალი მენშევიკები და ესერები შავრაზმელებთან ერთად.

ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგა. თვით მოუსვენარმა მენშევიკებმაც კი შესწყვიტეს რევოლიუციის გაღრმავება და გამაგრდენ მზრძანებელ მოლლობებზე, რომელთა ფერდობებზე გაშალეს ახალი ეკონომიური პოლიტიკის ნაწარმოები და გამართეს ისეთი ვაჭრობა, როგორიც არ მოსწრებია მის სიცოცხლეში ტიტ ტიტიჩ ტიტოვს.

ყველაფერი წესრიგზე მიდიოდა, მაგრამ უეცრათ, როგორც მოწმენდილ ცაზე მეხი, გავარდა საზარელი ხმა ისევ ომის დაწყებისა.

მთელი ქვეყნის რადიო სადგურებმა შესწყვიტეს ყოველივე დანარჩენი ცნობების გზავნა და მხოლოთ ამ საზარელ ამბავს აწვდიდენ ყველას, ყველას, ყველას! ზეციურ პლანეტებისკენაც გასწყორცნეს რადიო სხივები, რომელთაგან ზოგმა უკვე გამოგზავნა დასტური ცნობის მიღების შესახებ.

მხოლოთ თბილისის რადიო სადგურმა ვერ მიიღო ეს ამბავი, რადგან ის ამ დროს ერკაპის ყრილობაზე ლენინის მიერ წარმოთქმულ სიტყვას ღებულობდა და შეუძლებელი იყო მისი შეწყვეტა.

მაგრამ მე მივიღე სარწმუნო წყაროებიდან დაწვრილებით ცნობები ამ საშინელი ომის დაწყების შესახებ, რასაც სიტყვა-სიტყვით ვაწვდი ქართველ საზოგადოებას, რომელიც ყველაზე უფრო დაინტერესებულია ამ შემთხვევაში, რადგან ომი სწარმოებს უცხოეთში გადახვეწილ ქართველებს შორის.

ომი არ არის ტერიტორიალური, რადგან არცერთ მეომარ მხარეს საკუთარი მიწა-წყალი არ გააჩნია.

არც ნაციონალურია, რადგან ორივე მხარე ერთ ერს—ქართველებს—ეკუთვნიან.

არ არის აგრეთვე სარწმუნოებრივი, რადგან ორივენი ერთი რწმენის—მენშევიზმის-მიმდევარი არიან.

მიუხედავათ ამისა ბრძოლა იქნება მედგარი, ფიცხელი შეტევებით, შეუბრალებელი ხოცვა-ჟლეტით.

ომი დაიწყო აღმოსავლეთური რაინდული წესით—ორი ფალავნების შეტაკებით.

ჯერ ჯერობით შეიბნენ ცნობილი ფალავნები—ვალიკო ჯუღელი ერთი მხრით და ათაბეგი მეორე მხრით.

ამ შეტაკებაში დამარცხებული იქნა ათაბეგი, რადგან თავდასხმის ინიციატივა ეკუთვნოდა ჯუღელს.

ვინაიდან ომი სწარმოებს ნეიტრალურ ოსმალეთის ნიადაგზე, ამიტომ მებრძოლნი იძულებული არიან ომის ასპარეზი რამდენიმეთ შემოფარგლონ:

ფალავნების პირველ შეტაკებას ადგილი ჰქონდა საქართველოში კარგათ ცნობილ მენშევიკების საგანგებო რაზმის ყოფილ უფროსის კედიას სამიკიტნოში თავლიფდასხმის უბანში.

რაინდების მეორე შეტაკება უნდა მოხდეს კედიას თანაშემწის, აგრეთვე ცნობილი ფიჩულიას საზაფხულო ბაღში ხანუმგარემის მიდამოებში.

ფალავნების ამ მეორე შეტაკების შემდეგ მებრძოლი მხარეები გადავლენ საერთო მასიურ შეტევაზე ყველა ფრონტებზე—პარიზში, ბერლინში, რომში და სხვა ევროპის უმთავრეს ქალაქებში, სადაც კი იყუფებიან ამ ხანათ საქართველოდან გახიზნული მენშევიკების გენერალ ლიდერები თავიანთი ჯარებით.

შედეგები შემდეგ ფელეტონში.

ს. თ—ია.

სასურსათო-სამეურნეო ფრონტზე

სასურსათო გადასახადის მსვლელობა

კამპანიის დასაწყისიდან 22 აპრილამდე სულ შეგროვილია პურის მარცვალი და ფქვილი 82,138 ფუთი, კართოფილი 25,504 ფუთი.

სხვადასხვა ბოსტნეულობა და ხილი—3,267 ფუთი, ხორცი—1220 ფ. და 39 თავი საქონელი.

რძის პროდუქტები, საჭმელი ზეთი და თაფლი—277 ფუთი.

მატყლი—105 ფ., ღვინო—14,310 ვედრო.

მაზრებზე დანაწილებით ეს რიცხვი გამოიხატება შემდეგ ციფრებში:

ახალქალაქის მაზრაში.

შეგროვილია მარცვალი—7010 ფ., რაც შეადგენს 73 პროც. ამ მაზრიდან განზრახულ 9 550 ფ. მარცვლიდან. შემდეგ სასურსათო გადასახადის სამეულის დადგენილებით დაახლოვებით 1000 ფუთი გადახდილი იქნება ულარიბესი გლეხობის მიერ ახალი მოსავლის შემდეგ. კართოფილი შეგროვებულია 2,154 ფ., ბოსტნეულობა და ხილი—58 ფ., რძის პროდუქტები—86 ფ., ხორცი—686 ფ., მატყლი—65 ფუთი.

ახალციხის მაზრაში.

შეგროვილია მარცვლეულობა—13,308 ფ., რაც შეადგენს ამ მაზრაზე დადებულ 20,876 ფ. გადასახადის 64 პროც. კართოფილი—14,203 ფ., ბოსტნეული და ხილი—702 ფ., ხორცი—169 ფ., რძის პროდუქტი 6 ფ.

ბორჩალოს მაზრაში.

პურის მარცვალი შეგროვილი 5361 ფ., რაც შეადგენს ამ რაიონიდან განზრახულ 46,732 ფუთის 11 პროც. კართოფილი 2,094 ფ. ბოსტნეული და ხილი 65 ფ., რძის პროდუქტები 100 ფ. მატყლი 5 ფ.

გორის მაზრაში.

პურის მარცვალი და ფქვილი შეგროვილა 9,981 ფ. ე. ი. მაზრაზე დადებულ 32.767 ფუთის 30 პროც. კართოფილი—234 ფ., ბოსტნეული და ხილი 251 ფ. ხორცი—13 ფ., რძის პროდუქტები—10 ფ., მატყლი 2 ფ., ღვინო 244 ვედრო.

დუშეთის მაზრაში.

შეგროვილა პურეულის მარცვალი სულ 401 ფ., რაც შეადგენს დადებულ გადასახადს 1,8 პროც. ასეთი უმნიშვნელო პროცენტი აკრეფილ გადასახადისა აიხსნება იმით, რომ შეგროვება ამას წინად და სასურსათო გადასახადის კამპანიის მსვლელობის შესახებ მივიღეთ მხოლოდ პირველი ცნობები.

კართოფილი შეგროვებულა 46 ფ., ბოსტნეული და ხილი 140 ფ., ხორცი—39 თავი, ღვინო 245 ვედრო.

თბილისის მაზრაში.

შეგროვილა პურის მარცვალი 8131 ფ., რაც შეადგენს განზრახულის 25 პროც. კართოფილი 6539 ფ., ბოსტნეული და ხილი 1813 ფ., რძის პროდუქტები—52 ფ., ხორცი 10 ფ., მატყლი—32 ფ., ღვინო 3821 ვედრო.

თელავის მაზრაში.

პურის მარცვალი აკრეფილა 8073 ფ., რაც შეადგენს 12 პროც. ამ მაზრაზე დადებული გადასახადისას. ლობიო—6 ფ., ხორცი—300 ფ., ღვინო—10,000 ვედრო.

თიანეთის მაზრაში.

პურის მარცვალი აკრეფილია 2,200 ფ. ე. ი. 16 პროც. გათვალისწინებული გადასახადისა. კართოფილი—234 ფ., ხორცი—234 ფ., ლობიო—40 ფ.

სიღნაღის მაზრაში.

შეგროვილ პურის მარცვალი 20,550 ფ. ე. ი. 25 პროც. მაზრაზე დადებული გადასახადისა. ბოსტნეული—148 ფ., საჭმელი ზეთი—20 ფ. უკანასკნელ ხანებში გადასახადის აკრეფა გამოცოცხლდა; მაგალითად ლუჯარეთის რაიონში გადასახადის შეგროვება დასრულდა, მაგრამ ოფიციალური ცნობები ამ მუშაობის შედეგებზე არაა მიღებული.

სამხრეთ-ოსეთის მაზრაში.

გადასახადის აკრეფა დაიწყეს გვიან, მაგრამ მაინც შეგროვებულია 22 პროცენტი, განზრახული, ე. ი. 2797 ფ. ბოსტნეული 10 ფ. გადასახადის აკრეფა მიმდინარეობს მხოლოდ ანდორეცის და ონცესის რაიონებში. ანდორეცის რაიონში შეგროვილია დადებული გადასახადის 42 პროცენ.

ამ ნაირად აღმოსავლეთ საქართველოში, თუ არ მივიღებთ მხედველობაში დუშეთის მაზრას, რადგანაც იქ ეხლახან დაიწყეს სასურსათო გადასახადის აკრეფა, საშუალოდ შეგროვილი პურის მარცვლის რაოდენობა უდრის 24 პროც., ე. ი. აღმოსავლეთ საქართველოზე გაწერილი იყო 320,612 ფ. აქედან აკრეფილა 77,412 ფ. პურის მარცვალი.

დასავლეთ საქართველოში სასურსათო გადასახადის კომპანიის მსვლელობა სულ სხვაა, მაგრამ უნდა სიამოვნებით აღინიშნოს, რომ მიუხედავად მკაცრი სიმშილისა, რომელიც ეწვია საქართველოს ამ ნაწილს, მისი მაზრების ნახევარი უკვე შეუდგა გადასახადის მძიმე მოვალეობის ასრულებას.

ქუთაისის მაზრაში.

შეგროვილია სიმინდი 360 ფ., რძის პროდუქტები 3 ფუთი და ხორცი 32 ფუთი.

რაჭის მაზრაში.

შეგროვილია 608 ფუთი პურის მარცვალი.

ზუგდიდის მაზრაში.

შეგროვილია სიმინდი 657 ფუთი.

ოზურგეთის მაზრაში.

შეგროვილია სიმინდი 2696 ფ. და ბოსტნეული—32 ფ.

ყველა ამ მაზრებში სასურსათო გადასახადის საშუალებით აწარმოებენ საქმიან მუშაობას. მოუსავლობის და შიმშილის გამო გლეხები ითხოვენ სასურსათო გადასახადისაგან განთავისუფლებას.

საქართველოს ეკონომიური ცხოვრება

საქართველოს ნავთსადგურების მუშაობა მარტში.

ბათომის ნავთსადგური.

ბათომის ნავთსადგურის მუშაობა მარტში 1922 წ. ცენტრალურ სტატისტიკურ მმართველობის გამოკვლევით გამოიხატება შემდეგ ციფრებში:

სულ ნავთსადგურში შემოვიდა 136 გემი, რომლებმაც შემოზიდა 669,398 ფუთი ტვირთი. ამ რიცხვიდან 95 გემი შემოვიდა დაუსახელებელი ნავთსადგურებიდან. ანატოლიის განაპირა ნავთსადგურებიდან ტრაპიზონის გამოკლებით შემოვიდა 15 გემი, სტამბოლიდან—14, ადესიდგან—6, ტრაპიზონიდგან—4, ფოთიდგან და ნოვოროსიისკიდან თითო გემი. ყველაზე მეტი ტვირთი შემოზიდულია კონსტანტინოპოლიდგან—396,018 ფუთი, შემდეგი ადგილი უჭირავსთ, იმ ნავთსადგურებს რომლების სახელები გამოურკვეველია—103,676 ფუთი, შემდეგ ადესიდან—75,857 ფ., ნოვოროსიისკიდან შემოზიდულია—70,000 ფუთი, ანატოლიის განაპირა სადგურებიდგან შემოზიდულია—938 ფუთი, ტრაპიზონიდგან—21,921 ფუთი.

ამავე თვეში ბათომიდგან გავიდა—130 გემი, რომლების უმრავლესობა სახელდობ—115 გემი გამოურკვეველ მიმართულებით, სტამბოლისაკენ—16 გემი, ანატოლიის განაპირა ნავთსადგურებისაკენ ტრაპიზონს გარდა—7, ტრაპიზონში—4, ფოთში—5, ადესაში—2 და ნოვოროსიისკში—1.

ამ გემებით სულ გაზიდულია—170,566 ფუთი ტვირთი. უმეტესი რაოდენობა გაზიდულია ტრაპიზონში—72,395 ფ., დაუსახელებელ ნავთსადგურებში—10,925 ფ., კონსტანტინეპოლში—32,610 ფ., ფოთში—18,200 ფ., ადესაში—1,144 ფ., ანატოლიის განაპირა ნავთსადგურებში—5,396.

რაც შეეხება მგზავრების მიმოსვლას ის ამ გვარი იყო: სულ მგზავრები მოვიდა 3.303, რომლებიდგანაც ადესიდგან გადმოყვანილია 2,280 მგზავრი.

გაემგზავრა ნავთსადგურიდგან სულ 1,317 მგზავრი.

გემების მიმოსვლა დროშების, მიხედვით ნაწილდება ამ გვარად: ინგლისის ორთქლით მავალი გემები—3, იტალიის (ორთქლით მავალი)—10, ნორვეგიის (ორთქლით მავალი)—1, რუსეთის, (ორთქლით მავალი)—10 და 1 იალქნიანი, სერბიის (ორთქლით მავალი)—1, ოსმალეთის იალქნიანი—15, საფრანგეთის ორთქლით მავალი—3. 91 იალქნიან გემს დროშაზე არ ემჩნეოდა ნიშანი.

ფოთის ნავთსადგური.

იმავე წყაროების მიხედვით ფოთის ნავთსადგურში მარტის განმავლობაში შემოსულა—16 გემი და შემოუზიდავს 92,910 ფუთი ტვირთი. საზღვარ გარეთის ნავთსადგურებიდან შემოვიდა—35 პროცენტი, ამდენივე ბათუმში.

ტვირთი შემოზიდულია: 90,000 ფუთი ტრაპიზონიდგან—2,266 ფუთი სოხუმიდგან და 150 ფუთი გუდაუთიდგან.

გაზიდვა ფოთიდგან, შედარებით დიდია—842,700 ფუთი, რაც შეიცავს ბათუმთან შედარებით—672,162 ფუთით მეტს. ასე რომ მარტის განმავლობაში გაზიდულია ფოთიდგან 5-ჯერ მეტი ტვირთი ვიდრე ბათუმიდგან. 20 6 პროც. გაზიდულ ტვირთისა—679,052 ფუთ. როტერდამისკენ არის გაგზავნილი, 19,8 პროც. 173 076 ფ სტამბოლში, დანარჩენი 600 ფუთი სოხუმში.

მგზავრების მიმოსვლა ბათომთან შედარებით ძლიერ ნაკლებია. თვის განმავლობაში მოვიდა—150 კაცი, სულ გაემგზავრა—883 კაცი საქართველოს ნავთსადგურებიდგან—888 კაცი.

არაპირდაპირი გადასახადი.

არაპირდაპირ გადასახადთა შემოსვლა მიმდინარე წლის პირველი სამი თვის განმავლობაში მთელს რესპუბლიკაში გამოიხატება შემდეგი ციფრებით:

1. სახარინი	3,697,242,500 მ.
2. თამბაქო და მისი დამუშავება	3,563,258,318 „
3, ღვინო და სპირტი	2,960 435,178 „
4. ასანთი	857,751,192 „
5. პაპიროსის ქაღალდი	831,244,790 „
6. ჩაი	604,315,346 „
სულ	12,473,247,824 მ.

თვიურად შემოსავალი ამ გვარია:

იანვარში	3,303 370,813 მან.
თებერვალში	2,390,335,790 „
და მარტში	7,789 642,221 „

რაც შეეხება შემოსავლის უზომოდ მომატებას, მარტის შემოსავლის ასეთი ნახტომი აიხსნება სახარინზე აქციზის შემოღებით, რომელმაც მარტო მარტში მოგვცა სამნახევარ მილიარდზედ მეტი. მხოლოდ ბათუმში შემოსავალი გამოიხატა 3,680 მილიონში. რაც შეეხება ადგილობრივ შემოსავალს პირველი ადგილი უჭირავს ბათუმის ხაზინას, რომელმაც სამი თვის განმავლობაში მოგვცა 7,347 მილიონი მანეთი, მეორე ადგილი თბილისის ხაზინას—3,946 მილიონი მანეთი და უკანასკნელი ქუთაისის, რომელმაც მოგვცა 3,746 ათასი მანეთი.

პროვინციაში

ბორჯომი.

9 აპრილს, ამა წელს, ბორჯომის ქალაქის აღმასკომის შენობაში შესდგა რაიონის საბჭოთა წევრების ყრილობა. ვინაიდან ყრილობა იყო მოწვეული საგანგებოდ, ამიტომ მას დაესწრნენ საკმაო რიცხვი ამხანაგებისა.

დღის წესრიგში იყო შემდეგი კითხვები: 1) მოკლე ანგარიში აღმასკომის მუშაობისა. 2) ხვნა-თესვის კამპანია. 3) პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ მოხსენება. 4) არჩევნები აღმასკომის წევრებისა, 5) მიმდინარე კითხვები.

მოხსენება გააკეთა პირველ და მეორე კითხვებზე აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. დ. რუხაძემ. დამსწრე ამხანაგ გლეხების ყურადღება მიიპყრო მეორე კითხვამ, ხვნა-თესვის კამპანიამ.

მომხსენებელი ვრცლად შეეხო ამ კითხვის მნიშვნელობას საქართველოს მშრომელი გლეხკაცობისათვის, თუ როგორი ყურადღებით უნდა მოეპყრას ულარიბესი მშრომელი გლეხკაცობა კამპანიის სათანადო ჩატარებას.

მესამე საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ სიამაიშვილმა (ბორჯომის რაიკომის პასუხისმგებელი მდივანი). დამსწრე ამხანაგები დიდად დაინტერესა საერთაშორისო პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ მოხსენებამ და გულდასმით უსმენდენ მომხსენებელს დამსწრე ამხანაგები.

შემდეგ იყო შეკითხვები, რაზედაც შესაფერი პასუხი იყო გაცემული მომხსენებლის მიერ.

საერთაშორისო პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც სხვათა შორის ნათქვამია:

„ბორჯომის რაიონის საბჭოთა მეორე ყრილობა სრულიად დარწმუნებულია იმაში, რომ რუსეთის პროლეტარიატის მიერ დაწყებული ისტორიული მსოფლიო ხასიათის საქმე დაგვირგვინდება ბრწყინვალე გამარჯვებით. ვერავითარი პოლიტიკა და შეთქმულებები, რომელსაც აწყობს განწირული ბურჟუაზია, ვერ იმოქმედებს ჩვენზე, ვინაიდან პროლეტარულმა რევოლიუციამ შექმნა ძლევამოსილი შეიარაღებული ძალა, როგორიც არის წითელი ჯარი, რომლის დახმარებით იქნა განთავისუფლებული საქართველოს მშრომელი ხალხი. რუსეთის წითელი ჯარი არის საერთაშორისო სოციალისტური რევოლიუციის განმახორციელებელი ძალა, რომელიც ლახვარს ჩასცემს რევოლიუციის მტრებს, საიდანაც არ უნდა მოადგნენ უკანასკნელნი საბჭოთა რესპუბლიკებს. ყრილობა ფიცსა სდებს, რომ პირველ გამოძახილზედვე ხელიხელ ჩაკიდებულნი გამოვიდნენ საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად.

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას საქართველოში.

გაუმარჯოს საერთაშორისო მსოფლიო რევოლიუციას“.

აღსანიშნავია ის, თუ როგორი სიმპატიით და ნდობით უყურებს ადგილობრივი გლეხობა საბჭოთა მთავრობას. მიუხედავად იმისა, რომ ბორჯომის ხეობის გლეხობა განიცდის სიმშილობას, ბუნებრივი უბედურების გამო, რომელსაც ადგილი ჰქონდა გასულ წელს.

მშრომელი გლეხ-კაცობა სავსებით დარწმუნებულია იმაში, რომ მათი ხსნა ამ საერთო კრიტიკულ მდგომარეობიდან შეუძლიან მხოლოდ საბჭოთა მთავრობას.

აგრეთვე აღსანიშნავია ისიც, რომ ერთმა მოხუცებულმა გლეხმა განაცხადა, „რა მივეცით ჩვენ საბჭოთა მთავრობას, რომ მოვთხოვოთ. მენშევიკებმა შთანთქეს მთელი სიმდიდრე, მათი ბატონობის დროს და რისიც გაფლანგვა ვერ მოასწრეს, გაიტაცეს საზღვარ-გარეთ“.

დასასრულ მოხდა აღმასკომის წევრების არჩევა გასული ამხანაგების მაგივრად. წევრებად იქნენ ამორჩეულნი შემდეგი ამხანაგები: ამხ სიამაიშვილი (ბორჯომის რაიკომის პასუხისმგებ. მდივანი), და ამხ. გიორგი ლომსაძე.

ანდრო ციხის-უბნელი.

ქ. თიანეთი.

საქართველოს მუშათა და გლეხთა მილიციის პოლიტიკური კომისიის თანადასწრებით გაიმართა თიანეთის მაზრის მილიციის შემადგენლობის სხდომა 5 აპრილს, რომელსაც დაესწრნენ გარდა ამხანაგ ტრაპაიძისა, პარტკომის პასუხისმგებელი მდივანი ამხ. მიქაძე, სამ—აღმასკომის თავმჯდომარე სულგულაძე, აღმასკომის შინაგან განყოფილების გამგე ამხ. გვანცაძე და მილიციის სარდლობა. სხდომაზედ ვრცელი მოხსენებით თემაზე „თანამედროვე მომენტი საბჭოთა რესპუბლიკების ცხოვრებაში და მილიციის მოვალეობა,“—გამოვიდა ამხ. ტრაპაიძე, რომელმაც გასაგები ენით განუმარტა დამსწრეთ მოღალატე და შინაურ კონტრრევოლიუციონერების ზრახვანი რათა გამოიყენონ გენუის კონფერენცია საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ ახალი შემოტევის საბაბათ და შეუთითა დამსწრეთ, რომ ყოველგვარი ასეთი ცდა პირველად ყოვლისა ძირშივე ჩაკლული უნდა იქნას, შიგნით რკინისებურ წესრიგის დაცვით და ადმინისტრაციის გაუნელებელი სიფხიზლით. ამიტომ მილიციამ უნდა სამხედრო ამოცანათ დაისახოს რომ არც ერთი ბანდიტი, ქურდი და ბაცაცი, პროვოკატორი და აგრეთვე დეზერტირი არ ჰპოვებდეს მაზრაში. ჩვენ ვიცით, რომ მწარე ტკივილებში მიმდინარეობს ჩვენი მუშაობა, მაგრამ ისიც ვიცით, რომ თქვენ ძვალსა და რბილში გამჯდარი გაქვთ ის უპრალო, მაგრამ ურყევი, ჭეშმარიტი შეგნება, რომ თქვენ იცავთ თქვენ თავს, თქვენ იცავთ მუშათა კლასს, თქვენ იცავთ ღარიბ გლეხ-კაცობას, თქვენ იცავთ შრომის ბატონობას და სწორეთ ამით აიხსნება ის, რომ თითქმის მშიერ-მწყურვალნი და ნახევრათ ტიტველნი მედგრათ, შეუპოვლათ, ქედ-მოუხრელად სდგახართ სადარაჯოზედ, დაუძლურებული ქვეყანა ამას მოითხოვს თქვენგან, მაშ მხნეთ ამხანაგებო. შემდეგ ამხ. ტრაპაიძე მიუბრუნდა სარდლობას და მკვეთარი კილოთი განუმარტა რომ მილიცია თანახმათ დეკრეტისა სამხედრო ერთეულია, ისიც განსაკუთრებულ დანიშნულების, მაშ მისი შინაგანი დისციპლინა იგივეა, რაც სამხედრო ნაწილის. ამის გამო მილიციის მოხელის ყოფა ქცევის შესახებ შეუძლებელია კითხვის ისე-დაყენება ვარგა თუ არა ესა თუ ის თანამშრომელი. განა ჯარის კაცის შესახებ ასე აყენებენ კითხვას, რასაკვირველია არა. მილიციის თანამშრომელი ან შეიფერება თავის დანიშნულებას, ან ის მოღალატეა საბჭოთა წყობილების, ის მოღალატეა მუშებისა და ღარიბ გლეხებისა. ასეთ პირს მთელი სიმძიმით უნდა დაეწვეს სამხედრო რევოლიუციონური მართ-მსაჯულების რკინის ხელი. ბათომიდან ვლადივოსტოკამდე უკვე ფოლადის კედელია გავლებული წითელი ჯარის სახით. ამ წითელ ჯართან წითელი მილიციაც წინა რიგებში სდგას, და თუ მსოფლიო იმპერიალიზმის (შინაური და გარეშე) ზებერ ძალღებს აიტაცებს საბედისწერო ბრძოლებით აღსავსე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს მუშა-ქალთა ფურცელი № 10

ლენის ამბები

ათი წლის წინათ 1912 წლის 17 აპრილს (ძვ. სტ. 4 აპრ.) რუსეთის პროლეტარიატის ცხოვრებაში დატრიალდა სისხლიანი ტრაგედია „ლენის ამბებათ" წოდებული, რომელსაც დიდი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა.

20 თებერვალს 1912 წელს შორეულ აღმოსავლეთ ციმბირში ერთ ტყიანს, მივარდნილს ადგილს ლენის ოქროს მრეწველთა ამხანაგების ერთერთ მაღაროში შესწყვეტა მუშაობა 900 მუშამ, რომელნიც მოითხოვდნენ თავიანთი მდგომარეობის გაუმჯობესებას. აქ ჯერ კიდევ არსებობდა ძველი ბატონ ყმობის ზნეჩვეულებათა ნაშთები. საკმარისი იყო გახმაურება ერთი მაღაროსი, რომ რამოდენიმე დღის შემდეგ ამ გაფიცვას მიემხრო ყველა დანარჩენი მაღაროების მუშებიც. გაფიცვის გამოძახილი მისწვდა რუსეთის ყოველ კუთხეს.

ამ გარემოებამ დიდი აღშფოთება გამოიწვია ლენის ამხანაგობის ადმინისტრაციაში,—ამ ბიუროკრატიულ ხროვაში, რომელშიაც შედიოდნენ არა მარტო რუსეთის წარჩინებული პირები, არამედ მრავალი ევროპიელიც. ესენი მრავალი წლების განმავლობაში დაჩვეულნი იყვნენ მუშათა სასიცოცხლო ძალების დაწურვასა და მათი ოფლის და სისხლის საშუალებით უამრავი მოგების მიღებას. დასაწყისში გაფიცვა წყნარათ და მშვიდათ მიმდინარეობდა, მაგრამ მალე პეტროგრადიდან გაგზავნილ იქნა ჟანდარმების როტმისტრი, რომელმაც 3 აპრილს ღამე დაატუსაღა მთელი გაფიცვის კომიტეტი. მთავრობის ასეთმა მოქმედებამ ააშფოთა მუშათა წრეები, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, მათ გასაკვირალი სიმტკიცე და სიდინჯე გამოიჩინეს. ექსცესების დაუშვებლათ მათ გადაწყვიტეს პროკურორთან წასვლა და დატუსაღებულ ამხანაგების განთავისუფლების შესახებ მოლაპარაკება. ისინი მიდიოდნენ ტყის ვიწრო ბილიკით, ირგვლივ გაუვალი თოვლი იყო. უცბათ მუშებს გზა გადაუჭრეს და გაუფრთხილებლათ სროლა აუტეხეს. მდინარეთ იქცა მუშათა სისხლი, რასაც შედეგათ მოყვა 300 მუშის სიკვდილი და მრავალის დაჭრა. და დაჭრილებს არა-ადამიანურათ ეპყრობოდნენ, როგორც ჯარიკებს, ისე ყრიდნენ მარხილებში და მიყავდათ საავათმყოფოებში და იქ უპატრონოთ, პირდაპირ იატაკზე ჰყრიდნენ, საქმით დახმარების აღმოუჩენათ სტოვებდნენ. დახოცილებს და ჭრილობებისაგან გარდაცვლილებს პოლიცია ასაფლავებდა, რის დროსაც მუშებს ახლოსაც არ უშვებდნენ. ასეთი მხეცური ამბავი ელვის სისწრაფით მოედო მთელს რუსეთს და აღელვა მუშა მამაკაცების და მუშა ქალების ფართო მასები. ყველგან აწყობდნენ მიტინგებს, სამგლოვიარო გაფიცვებს და დემონსტრაციებს. სოც.-დემოკ. დეპუტატების მოთხოვნილებით 11 აპრილს საკითხი „ლენის ამბების" შესახებ სახელმწიფო სათათბიროში გაირჩა და აქ შინაგან საქმეთა მინისტრმა მაკაროვმა წარმოსთქვა თავის შესანიშნავი ისტორიული განმარტება—„ასე იყო და ასე იქნება"-ო. პასუხათ ასეთ თავხედ განცხადებაზე ყველა ფაბრიკა-ქარხნებში გამოტანილ იქნა მრავალი რეზოლიუციები, რომლებშიაც წითელი ზოლივით გატარებული იყო ის აზრი, რომ მხოლოდ მოწყობილი მასიური ბრძოლით დააღწევს თავს მუშათა კლასი იმ მონურ მდგომარეობას, როდესაც პურის ნაცვლად მას ტყვიას აწვდიან და თავისუფლების ნაცვლად კი—უდროვო სიკვდილს. „ლენის ამბები" იყო პირველი ეტაპი პროლეტარული რევოლიუციისა. ლენის მუშების დაღვრილ სისხლითა და მათი დაობლებული ცოლშვილის ცრემლებით მოირწყო მდიდარი ნიადაგი ოქტომბრის რევოლიუციისა. ლენის მუშებმა თავიანთი სისხლით ჩაწერეს წარუხოცელი ფურცელი არამარტო რუსეთის, არამედ მთელი მსოფლიოს პროლეტარიატის წყვდიადით მოცულს, მაგრამ რაინდულ ისტორიაში. ლენის მსხვერპლთა საფლავზე რუსეთის პროლეტარიატმა ააგო დიდებული ძეგლი მუშათა და გლეხთა მთავრობის სახით, რომლის წინაშე ძრწის მთელი იმპერიალისტური სამყარო.

სამარადისო და კეთილი ხსოვნა ლენის მსხვერპლთ.

ფ. ვარდანიანი.

საბავშო სახლები—კომუნიზმის კერაა

სამსახურის შესრულებისთვის მე მომიხდა დათვალიერება მთელი რიგი საბავშო სახლებისა და ბაღებისა, სადაც ოთხი წლიდან 17 წლამდე ბავშვები იმყოფებიან.

საბავშო ბაღებში ბავშვების წლოვანობა 6 წელს არ აღემატება, ეს მომავალი თაობის კუთხეებია. სიამოვნებით ისვენებს თვალი ამ ბავშვების ცქერით, როდესაც ისინი უზიან პაწაწა მაგიდებს და პატარა ხელებით ხატავენ ლამაზად—ცხენსა, ძაღლსა, ყვავილსა და სხვ. ან როდესაც დარბაზში მუსიკის ხმაზე ფერხულს უვლიან და ბავშურად მოქნილი, ლამაზი ენით ჩაწკრიალებენ, რომელიმე კოხტა სიმღერას. ხედავთ მათ ბავშურ გულწრფელობას და სად მხიარულებას, რაც თქვენ გახარებთ და გაფრთოვანებთ. ბავშვები აქ უმეტესად, მშრომელი ოჯახებიდან არიან, რომელთა მშობლებს არა აქვთ საშვალება, რომ ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ მათ აღრზდას, რადგანაც ისინიც (მშობლები) ნათელ დღეს ქარხანაში, ან ფაბრიკაში მუშაობას ანდომებენ. დილიდან დღის 12 საათამდე ბავშვები საბავშო ბაღებში იმყოფებიან, სადაც აღზრდა-გამზრდელთან ერთად საუზმესაც იღებენ, მართალია ეს მცირე ულუფად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც ბავშებს აქ ბაღში ყოფნის დროს ეძლევათ ერთი მეოთხედი გრ. პური და ერთი ჭიქა ჩაი, აქამდის მიაღწია საშინელმა ეკონომიურმა კრიზისმა.

საშვალება მომეცა დამეთვალიერებია საბავშო სახლებიც, სადაც ბავშვები სრულ კმაყოფილებაზე არიან აყვანილი. აქ მყოფ ბავშთა უმეტესი ნაწილი უსახლ-კარო, უდედ-მამო და ქუჩიდან მოყვანილი ბავშვებისაგან შესდგება, ამ ბავშთა კვების პირობები გარედან მომავალ ბავშების კვების პირობებზე უკეთესია. გარე სახეობით ბაღები მშვენიერ შთაბეჭდილებას ახდენენ მაყურებელზე, ისინი სუფთად არიან ჩაცმულნი და აფუჩნულ, მზიდან დამწვარ ლოყებიანი მხიარულად გამოიყურებიან მზეზე, ბაღში მოლხენით, ჭანჭველებივით ირევიან, პედაგოგიური ნაწილი ჩემ მიერ დათვალიერებულ ბაღებში სრულიად დამაკმაყოფილებელი არის.

4 5 წლის პაწა ცქრიალები ხატავენ, იციან ლექსები ზეპირად და თამამად მღერიან კოხტა სიმღერებს, მათ აქ რიგად ეტყობათ სასწავლო საგნების ნაკლულევანება, მაგ. ქაღალდების, ფანქრების, სალებავების და სხვა, მხოლოდ მთავარი კი ის არის, რომ კვება საკმარისი არა აქვთ, მომსვლელი ბავშვები მშიერი შედიან საბავშო ბაღში; დილიდან სადილობამდე მეოთხედი გრ. პური და ერთი ჭიქა ჩაი, რა თქმა უნდა, საკმარისი არ არის და ეს იმ დროს, როდესაც მრავალ მათგანს სახლშიაც არა ელის რა საჭმლად, რაიც ხათლად არის აღბეჭდილი მათი (ბავშების) ფერ მკრთალ და გამხდარ სახეებზე.

სხვა სურათი იშლება ბავშთა სახლებში, სადაც 6-16 წლამდე ბავშებს იღებენ. მე ვიყავი სამ საბავშო სახლში და მერე ამ სახლებიდან გამოტანილი შთაბეჭდილება მკითხველს გაუზიარო (თითეულ სახლის შესახებ ცალ ცალკე) დიდი ზნეობრივი კმაყოფილება მივიღე „კარლ-მარქსის" სახელობის საბავშო ბაღში. აქ ყოველგვარ საქმეს და მუშაობას შრომის პრინციპი უძევს, ბავშები ყოველგვარ მუშაობაში და ვარჯიშობაში სრულ აქტიურ მონაწილეობას იღებენ, აქ ბავშები სასკოლო ჰასაკის არიან, ამიტომ ისინი დილით სკოლაში სწავლობენ, დაბრუნდებიან თუ არა სკოლიდან ნახევარ—1 საათს დაისვენებენ და შემდეგ შრომას უდგებიან, ჯგუფ ჯგუფათ. ერთი ჯგუფი ძერწავს, თიხიდან სახეებს აკეთებს, მეორე ხიდან სახეებს სჭრის, მესამე ხატავს, მეოთხე კითხულობს და სხვა, აქ კარგათ არის ხელის მუშაობა დაყენებული: აქვთ საბავშო სახელოსნოები, სადაც ბავშვებივე ქაღალდიდან, ან ხიდან სჭრიან სათამაშოებს და თვითვე ღებავენ, კალათებს წნავენ, პაწა გოგონები სწავლობენ კერვას, აქვე მოწყობილია სადურგლო, სადაც ბავშებივე საკუთარ ძალით აწარმოებენ თავისვე სახლის დამტვრეულ ავეჯეულობის შეკეთებას. ამ საბავშო სახლს ფეხსაცმელის სამკერვალო სახელოსნო არა აქვს, მაგრამ ბავშვი მაინც სწავლობს აქვე, მეზობელ საბავშო სახლში ფეხსაცმლების კერვას და შეკეთებას. ხის ძირიანი ქოშები კი ბავშების მიერ ადგილობრივ მზადდება, ბავშთა ძალებითვე შედგენილია წრე საბავშო წარმოდგენების სამართავად, რისთვისაც ბავშვთა ძალებითვე მოწყობილია მოძრავი ესტრადა. ამასთან პარალელურად ბავშები სწავლობენ მღერას, ტანთ ვარჯიშობას და სხვა. იმართება აგრეთვე წიგნების კითხვა, მაზე აზრთა გაცვლა გამოცვლა, საუბარი და სხვა. მიწის საკმაოდ მოზრდილი სივრცე, რომელიც კარლ-მარქსის სახელობის საბავშო სახლს აქვს, გამოყენებულია საბოსტნეთ. მთელი ეს მიწა დამუშავებულია ბავშთა მიერ და დათესილი. ეს ბავშვები აღმზრდელთა ხელმძღვანელობით უვლიან და რწყავენ ამ ბოსტანს, ამ საბავშო სახლს განზრახული აქვს შეასწავლოს ბავშვებს ფუტკრებისა და აბრეშუმის მოვლა და სხვა. მხედველობაში მისაღებია, რომ ბავშვები უმთავრესათ გლეხთა ოჯახებიდან არიან, რისთვისაც მათი მიწისადმი და სოფლის მეურნეობისადმი ხალისი და სიხარული მეტია და აქ ეს საქმე ფართოდ არის დაყენებული, გარდა ყოველივე ამისა,—ყველა მუშაობანი, როგორიც, მაგალითად: სახლის დალაგება, ეზოს და ბაღის დასუფთავება, სამზარეულოში დახმარება და ყოველი ამ გვარი მუშაობა სრულდება ბავშთა აქტიურ მონაწილეობით. აქ ყველაფერს და ყოველ გვარ საქმეს ეჩნევა სიცოცხლე და მეტი მიმზიდველობა ცხოვრების ახალი და უფრო ლამაზი სახის შესაქმნელად. აქ გაცილებით მეტი და განუზომელი სიყვარულია თავისუფალი, არა იძულებითი შრომისადმი, აქ საქმე ერთ დარგში შესამჩნევათ მოისუსტებს. აქ არიან უკვე მოზრდილი 15—16 წლების ბავშები, რომლებშიდაც ღვიძებს წყურვილი თანამედროვე მიმართულების ლიტერატურაზე დაწაფვისა, რისთვის საჭირო წიგნებიც აქ არსებულ წიგნსაცავში თითქმის არ მოიპოვება. არ არის აგრეთვე საუბრები თანამედროვე, სოციალურ თემებზე, მაგრამ ეს ნაკლი უკვე შენიშნულია და ახლო მომავალში შევსებულიც იქნება. ბავშვთა ცხოვრების სულიერი შინაარსი არ ეხმატკბილება მათ გარეგან სახეს, და მართლაც ბავშვები ფეხშიშველნი არიან, თითო საწოლზე მოთავსებულია ორ-ორი, სამ-სამი ბავშვი: იკვებებიან მხოლოდ ერთი გირვანქა პურით დღეში და სადილათ ერთი თავი საჭმელით, ამასთანავე, ხორცეული ძალიან იშვიათად აქვთ და ვახშმათ ქაში ან რამე აქვთ წყალში გაკეთებული. აქ სჩანს სურსათის არა თანასწორი განაწილება, არა უმეტეს 5-6 წლის ბავშთათვის მიცემა მეტი სურსათის, ვიდრე უფრო მოზრდილთათვის, მაგალითად 15—16 წლ. ბავშთათვის.

ასეთ მაგალითს ადგილი აქვს ოქტომბრის რევოლიუციის სახელობის საბავშო სახლში. აგრეთვე შესამჩნევია სკოლაში მოსწავლე ბავშთათვის სახელმძღვანელო წიგნთა ნაკლულევანება.

დაგვრჩენია უსურვოთ ამ კეთილ შობილ დაწყებულებას გაფართოება და გაღრმავება.

(გაგრძელება იქნება).

ქრონიკა

სიღნაღის მაზრა.

სიღნაღის მაზრაში ქალთა საერთაშორისო დღე, რვა მარტი, ჩატარდა საუცხოვოთ. ამ დღეს ქალთა განყ. ინიციატივით იქნა დამშეულთა დამხმარე კომისია მოწყობილი, რომელმაც მოაგროვა ბევრი შემოწირულება, აგრეთვე ფულათ 4.272.000 მ. 8 მარტს ყველა დაწესებულებებში 12 საათზე იქნენ განთავისუფლებული მუშა-ქალები და მათ მიერ ქ. სიღნაღი ამ დღეს საუცხოვოდ იყო მორთული. დღესასწაულში მუშა ქალების გარდა მონაწილეობას ღებულობდნენ მოწაფე ქალებიც. საერთოდ პროცესიაში მონაწილეობას ღებულობდა აგრეთვე მუშა უპარტიო ქალები. ერთი მათგანი დროშით მიუძღოდა კრებას და აღტაცებაში მოყავდა მუშა-ქალები. მესამე ინტერნაციონალის კლუბში გამართულ იქნა კონცერტი-მიტინგი. იყო მრავალი მილოცვები სიღნაღის მშრომელ ქალებისაგან ს. კ. პ. ც. კ. ქალთა განყოფილებისაგან. მიტინგის დროს ყოველ სიტყვის გათავების შემდეგ მუსიკა ასრულებდა ჰიმნს „ინტერნაციონალს".

განსაკუთრებით ამ დღისათვის ქალთა განყ. გამგისაგან იყო შედგენილი მომღერალთა გუნდი, რომელიც ქალთა საერთაშორისო დღესასწაულს სიმღერით ესალმებოდა. ბავშვთა გუნდის მილოცვა მთლათ ამშვენებდა ქალთა მიტინგს. ამ კონცერტ-მიტინგს დაესწრო მრავალი მუშა ქალები, აგრეთვე მამაკაცებიც, სიღნაღში ამ დღესასწაულს რაიონებიდგან დაესწრო რამოდენიმე ამხანაგი, რამაც გამოიწვია დიდი კმაყოფილება მუშა-ქალებისა. მოხსენების შემდეგ გამოიტანეს რეზოლიუცია იმის შესახებ, რომ ისინი შემდეგში უფრო შეგნებულად და მომზადებულად შეეგებებიან ამ ფრიად მნიშვნელოვან მუშა-ქალთა დღესასწაულს. ამ დღეს იყო გამოცემული ქალთა განყ. გამგის მიერ საგანგებო გაზეთი „8 მარტი" ამ დღის აღსანიშნავი წერილებით. საღამოს მოეწყო დამშეულთა სასარგებლოთ წარმოდგენა. წარმოდგენის წინ შესდგა საღ. 6 საათზე უპარტიო ქალთა სამაზრო კონფერენცია, რომელზედაც იქნენ ამორჩეული დელეგატი ქალები აღმოსავლეთ ქალთა ყრილობისათვის. ამ დღის აღსანიშნავად იქნა დაარსებული წერა-კითხვის უცოდინართა სალიკვიდაციო სკოლა. ამასთანავე არის დაარსებული სათესლე არტელი ნუკრიანის რაიონში უპარტიო ქალთა შორის.

სენაკის მაზრა.

სენაკის მაზრაში საერთოდ ქალთა შორის მუშაობა მიმდინარეობს დამაკმაყოფილებლად; თუმცა რიცხვი კომუნისტ ქალებისა მცირეა, მაგრამ ეს მცირე რიცხვიც განაგრძობს დაუღალავ მუშაობას. მასთან უნდა ვსთქვათ, რომ თვით პარტიული ამხანაგი მამა კაცები დიდი ყურადღებით ეკიდებიან ამ მუშაობას. 8 მარტი ქალთა საერთაშორისო დღე საუცხოვოდ იქნა ჩატარებული. ამ დღეს ყველა დაწესებულებებში მუშა ქალები განთავისუფლებული იქნენ 12 საათზე. შემდეგ თავი მოიყარეს სამაზრო პარტკომთან, საიდანაც პროცესია მწყობრათ გაემართა „ინტერნაციონალის" სიმღერით საბჭოთა თეატრისაკენ, რომელიც ამ დღისათვის საგანგებოთ იყო მორთული. ქალთა დღესასწაულის მისასალმებლად გამოვიდა რამოდენიმე ამხ. როგორც ქალები ისე მამა კაცებიც. კრება დაიხურა საღამოს 4 საათზე. საღამოს იქნა მშრომელ ქალთათვის დადგმული პიესა ცეიტლინისა „8 მარტი".

ამ დღისათვის ყველა რაიონებში იყო დაგზავნილი პასუხისმგებელი ამხ. ყველა რაიონებში საერთაშორისო დღესასწაული 8 მარტი ჩატარდა კარგათ, განსაკუთრებით აბაშის რაიონში სოფელ ონტოფოში, იქნა გამოტანილი შემდეგი შინაარსის რეზოლიუცია:

ჩვენ ონტოფოს თემის მშრომელი ქალები დარწმუნებული ვართ, რომ თავისუფლების მომნიჭებელი მსოფლიო რევოლიუციის ტალღა, რომელიც პირველად ამობორქდა რუსეთში და შემდეგ გადმოვიდა ჩვენშიაც მალე მოედება მთელს მსოფლიოს და დაამსხვრევს მონობის ბორკილებს. სალამი თავისუფლებისათვის მებრძოლს ჩვენს მოწინავე ამხ. ქალაქის მუშა ქალებს! საუკუნო ხსენება თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაღუპულთ.

გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციას.

გაუმარჯოს ქალთა საერთაშორისო დღესასწაულს 8 მარტს.

გაუმარჯოს მე-3-მე კომუნისტურ ინტერნაციონალს.

როგორც ონტოფოს თემში ისე სხვა თემშიც იქნა ასეთი რეზოლიუციები გამოტანილი. საერთოთ სენაკის მაზრაში ქალთა საერთაშორისო დღესასწაული 8 მარტი ჩატარდა საუცხოვოთ.

ვნე[illegible]თა—ღალვა და [illegible] საბჭოთა წითელ [illegible]—დღე იყოს ხსენება მისი, ამით მსოფლიო ყაჩაღები სამუდამოთ დაიმარხავენ თავის თავს.

ასეთ ვე შინაარსის მოხსენება გააკეთა ამხ. ტრაპაიძემ ერწოს რაიონში, სადაც მის მოხსენებას აღფრთოვანებით შეხვდნენ საბჭოთა მოხელენი, გლეხობა და მილიციის შემადგენლობა.

დ. მიქაძე

დ. ჩხარი.

ლენის მუშების დახვრეტის დღიდან ათი წლის შესრულების თავზე, ა. წ. 17 აპრილს, ჩხარის რაიპარტკომმა, ხსენებული დღის აღსანიშნავად გააგზავნა პარტკომის წევრი, ამხ. ბაგრატ სხილაშვილი ს. ალისუბანში მოხსენების გასაკეთებლად დღის 11 საათზე ეკლესიის გალავანში თავი მოიყარა გლეხების საკმაო რიცხვმა, რომლებიც იყვნენ გამოსული სათემოთ. მომხსენებელმა ვრცლად გააცნო დამსწრეთ ამ დღის მნიშვნელობა და აღნიშნა მაშინდელი მთავრობის მოქმედება გაფიცულ მუშების მიმართ. გარდა ამისა, მომხსენებელმა აუხსნა გლეხებს წარსული წლების მოუსავლობა და მოუწოდა მათ ადრე დაეთესათ ყანები. ხალხი გულდასმით უსმენდა მომხსენებელს, რის შემდეგ მოხსენებით ნასიამოვნები დაიშალნენ.

ადგილობრივად, ე. ი. ჩხარში, ზემოხსენებულ დღეს ტარდებოდა საღამო, ახალ. კომკავშირის დრამატიული წრის მიერ.

საღამოს დაწყებამდე მოხსენებით გამოვიდნენ, ზემოხსენებული დღის აღსანიშნავად, ამხანაგები ბაგრატ სხილაშვილი, რაიპარტკომის სახელით და მ სიმონგულოვი—ახალგ. კომკავშირის სახელით, რომლებმაც გააცნეს ხალხს დღევანდელი დღის მნიშვნელობა. მომხსენებლები ფართოთ შეეხნენ რუსეთის რევოლიუციონურ მოძრაობის ისტორიას, მუშათა გაფიცვებს სხვა და სხვა წლებში და რაც უმთავრესია, 1912 წ. 17 აპრილს, ლენის მუშების დახვრეტას, სტოლიპინის ჯალათების მიერ.

დამსწრენი მოხსენებით დარჩნენ კმაყოფილნი.

დამსწრე.

ჩვენი ფოსტა

დ. ჩხარში, ამხ. დამსწრეს. თქვენი წერილი სასწრაფო განკარგულებით გადაეცა გაზეთების კანტორას. მიღებულია ზომები მათი რეგულიარულათ მიწოდების მოსაწყობათ. გვესაჭიროება მეტი ყურადღება ადგილობრივი ორგანიზაციებისაგან. ამ აზრით თქვენი უკმაყოფილება სამაზრო კომიტეტით საბუთიანათ მიგვაჩნია. გააგრძელეთ წერა. მოგვაწოდეთ ცნობები ადგილობრივი პარტიული და საზოგადოებრივი ცხოვრებიდან.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 9.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი—სასამართლოს გაუქმებულ დაწესებულებებში დაუმთავრებელ საქმეთა ვადების მიმდინარეობის აღდგენის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო, სცნობს რა დროს შესაფერისად საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის მიერ 1921 წლის ივლისის 26 თარიღითა და 58 №-რით გამოცემული დეკრეტის ძალით შეჩერებული ვადის მიმდინარეობის აღდგენას იმ საქმეებისათვის, რომელიც დაუმთავრებელი დარჩა სასამართლოს გაუქმებული დაწესებულებებში ადგენს:

1. ამა დეკრეტის გამოქვეყნების დღიდან მიეცეს ორი თვის ვადა ყველა დაინტერესებულ პირსა და დაწესებულებას შეიტანოს კერძო, საპელაციო და საკასაციო საჩივარი და პასუხი სასამართლოს გაუქმებულ დაწესებულებათა მიერ გამოტანილ დადგენილებასა, გადაწყვეტილებასა და განაჩენზე იმ სისხლის სამართლის საქმისა და სამოქალაქო საქმის გამო, რომლის ვადის მიმდინარეობაც შეჩერებულ იქნა საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის 58 ნომრის დეკრეტით.

2. წინა მუხლში აღნიშნული საჩივარი და პასუხი შეტანილ უნდა იქნეს: იმ საქმეების გამო, რომელიც წარმოებაში იყო ყოფილ თბილისის ოლქის სასამართლოსა, სასამართლო პალატასა, ქალაქ თბილისისა და თბ. მაზრის მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობებსა და სენატში,—იუსტიციის სახალხო კომისარიატის სასამართლოს მომწყობ განყოფილებაში; ხოლო იმ საქმის გამო, რომელიც წარმოებაში იყო ყოფილ მომრიგებელ მოსამართლეებთან და რესპუბლიკის დანარჩენ ადგილების მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობებსა და ოლქის სასამართლოებში—იუსტიციის ადგილობრივ განყოფილებაში.

3. იუსტიციის სახალხო კომისარიატის სასამართლოს მომწყობმა განყოფილებამ, ან იუსტიციის ადგილობრივმა განყოფილებამ მეორე მუხლში აღნიშნული საჩივარი თუ პასუხი, მიღებისათანავე, საქმის დედანთან ერთად, უნდა გაუგზავნოს სახალხო სასამართლოს ან სახალხო მოსამართლეთა საბჭოს კუთვნილებისამებრ, თანახმად აწ მოქმედ წესებისა ადგილობრივი ქვემდებარეობის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **მ. ოკუჯავა.**

იუსტიციის სახალხო კომისარის მოადგილე **ბროდსკი.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **ალ. ხალარიძე.**

1922 წ. აპრილის 15. თბილისი—სასახლე.

დებულება.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი—სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა უდავო მოთხოვნილებით გადასახდევინებლის აკრეფის შესახებ.

1. სახელმწიფო ხარკი, ბაჟი თუ გადასახადი და ყოველგვარი უდავო თანხა, რაც არ ექვემდებარება სასამართლოს წესით განხილვას და რაც ხაზინაში უნდა შევიდეს—სხვათა შორის აღმასრულებელ ფურცლებში აღნიშნული მისჯილ მონათხოვი, გადახდევინებულ უნდა იქნეს ყოველი მიზეზის გარეშე. საჩივარი არა სწორი გადახდევინების შესახებ, თუმცა იგი ვერ შეაჩერებს თვით გადახდევინებას,—შეტანილ უნდა იქნეს, ქვემდებარეობის წესის თანახმად, ზემდგომ სახელმწიფო ორგანოში,—დამოუკიდებლად იმ საჩივრისა, რომელიც შეიტანება მუშათა და გლეხთა ინსპექციის საჩივართა ბიუროში.

2. სახარჯო ორგანომ, აგრეთვე სხვა სახელმწიფო დაწესებულებამ, რომელსაც მინიჭებული აქვს უდავო წესით გადახდევინების უფლება, მოთხოვნის სისრულეში მოსაყვანად, უნდა მიჰმართოს იმ ადგილის მილიციას, სადაც მოვალე ცხოვრობს ან სადაც მისი ქონებაა.

3. უდავო გადასახდევინებელი ანაზღაურებულ უნდა იქნეს მოვალისა ან მისი თავმდების უძრავი ქონებიდან, ან იმ თანხიდან, რომელიც დარჩება მოვალის კერძო ვალში დაგირავებული ქონების საჯარო ვაჭრობით გაყიდვისა და აღებული ფულით ამ კერძო ვალის გასტუმრების შემდეგ.

4. ბე თუ გირაო, რომლითაც უნდა შეივსოს უდავო გადასახდევინებელი, აგრეთვე მოვალის სხვა გასანაღდებელი (სარეალიზაციო) ქონება, სათანადო სახელმწიფო ორგანოს განკარგულებით, უნდა აიწეროს და საჯარო ვაჭრობით გაიყიდოს იმ წესის მიხედვით, რომელიც გათვალისწინებულია იუსტიციის სახალხო კომისარიატის მიერ სასამართლოს აღმასრულებელთათვის შედგენილ ინსტრუქციით.

შენიშვნა: აღწერისა და შემდეგ აღმასრულებელ მოქმედებათა დროს გადამხდევინებლის უფლება აქვს იმ დაწესებულების წარმომადგენელს, რომლის განკარგულებითაც მოხდება უდავო მოთხოვნის სისრულეში მოყვანა.

5. იმ შემთხვევაში, როდესაც მოვალის ქონების შესახებ ცნობები არ მოიპოვება, მილიციამ უნდა მიიღოს ღონისძიება ქონების მოსაძებნად და ერთი თვის განმავლობაში დღიდან ქონების მოძებნის შესახებ მოწერილობის მიღებისა, აცნობოს სათანადო ორგანოს ცნობა მოვალის კუთვნილ ქონების ან უქონლობის შესახებ.

6. დებულება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა:

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **მ. ოკუჯავა.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი ალ. სალარიძე

1922 წ. აპრილის 15. თბილისი—სასახლე.

ბრძანება.

ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის სამმართველოს განყოფილებისა, № 12.

25 აპრილი, 1922 წ. ქ. ტფილისი.

წინადადება ეძლევა ყველა სახლის პატრონებს, საბჭოთა სახლების კომენდანტებს და ბინის პატრონებს 1-ლ მაისს საერთაშორისო პროლეტართა დიდი უქმე დღეს გაალამაზონ სახლები და ბინები 1-ლ მაისის დღისთვის.

ამ მიზნისთვის გამოყენებულ იქნან სახლებში მყოფი ყველა ნოხები, ფერადი მატერიები, ბაირაღები, ყვავილები და სხ. ხოლო იმ სახლებში სადაც არის ბაღები, უნდა მოეწყოს დეკორაციები ყვავილ-ფოთლების გირლიანდებით.

საღამოს-კი სახლების ქუჩის პირის ფანჯრებთან უნდა დაიდგას სანთლები და სხ.

ქ. თბილისის მ/გ. მილიციის უფროსს ევალება რაიონის მილიციის უფროსების საშუალებით თვალყური ადევნოს სწორ უცვლელად ამ ბრძანების ასრულებას და აღმოუჩინოს ყოველგვარი დახმარება სახლის პატრონებს, საბჭოთა სახლების კომენდანტებს და კერძო პირებს ამ ბრძანების ასრულებაში.

სამმართველოს განყოფილების გამგე, პრეზიდიუმის წევრი **ბ. მაჩაიძე.**

სარედაქციო კოლეგია.

განცხადება

ს. ს. ს. რ. სამხედრო-საინჟინერო სამმართველო

ამით აცხადებს, რომ ყველა მოწმობები, პირობები და ხელშეკრულებანი გაცემულნი მის მიერ და მისი განყოფილების მიერ პირველ აპრილამდე, გამოცხადებულია გაუქმებულად. იმ პირებს, რომელთაც სურთ ზემოხსენებულ საბუთების განახლება, გთხოვთ მიმართოთ ხსენებულ სამმართველოს სამხედრო კომისარს.

(1—1)

გაზეთის ტრესტისაგან

ჟურნალ „ლომისის" რედაქტორს, მოქ. გალაკტიონ ტაბიძეს ვთხოვ შემოიაროს გაზეთის ტრესტის მთავარ კანტორაში ანგარიშის გასასწორებლათ.

გაზ. ტრესტის კანტ. გამგე—მაზურიკი.

(1—1)

საქართველოს დამშეულთა მთავარ კომიტეტისაგან

საქართველოს დამშეულთა მთავარი კომიტეტი გადავიდა ახალ ბინაზე მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის შენობაში. (ყოფილი კადეტთა კორპუსის შენობა) ტელ. № 15—46.

(6—3)

მხატვრული კოლექტივი „სკიფი"

არსებული ს. ს. ს. რ. პოლიტიკურ განათლების მთავარ სამმართველოსთან, პუშკინის პასაჟი. ტელ. 8—04.

პირველი მაისის დღესასწაულისათვის

ღებულობს დაკვეთას

შენობების დეკორაციულად მოსაწყობად

ყვავილების გრეხილები
ილლიუმინაცია
ტრანსპარანტები
პორტრეტები
პლაკატები
პანნო

სასწრაფო დამზადება მხატვრული დროშების

სახელმწიფო და სამხედრო დაწესებულებებს ფას დაკლებით.

(3—1)

[illegible]